პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამს.—65 კ. დანარჩ. ქალაქში-85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ.
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. სამგლოვიარო განცხ.—5 მ. განმეორებ. განცხ. შეღავათი 15 პროც. განცხ. მიიღება შუად. 2 ს.
ექსპედიციის ტელეფონი 5—43.

დღიური

— ბოლგარეთის ფაშისტებმა მოჰკლეს გლეხური პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერი.

— ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს გაადიდოს სათადარიგო ჯარების რაოდენობა.

— ინგლისის რწმუნებულმა გემმინსმა, [illegible] მექსიკის მთავრობამ გააძევა, უარი სთქვა მექსიკის დატოვებაზე.

— ამერიკაში შიმშილობისა და გ[illegible] ნიადაგზე გახშირდა თვითმკვლელობა ერთი თვის განმავლობაში თავი მოიკლა 500 კაცმა.

— ჟენევაში მოეწყო ფაშისტური ლიგა, რომელიც მიზნად ისახავს ბრძოლას კომუნიზმის წინააღმდეგ.

№ 138 (993) ხუთშაბათი, 19 ივნისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. (500 მილ.) № 138 (993)

დღეს, ხუთშაბათს, ივნისის 19, საღამოს 7 საათზე
დანიშნულია საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ცაკის მდივანი **ხაბაშვილი.**

კომინტერნის მეხუთე კონგრესი

17 ივნისს მოსკოვში გაიხსნა კომუნისტური ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესი.

კონგრესზე თავი მოიყარეს მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მსოფლიოს ყოველ კუთხიდან. აქ არიან დელეგატები არა მარტო ევროპის და საერთოდ ე. წ. განათლებულ ქვეყნების, არამედ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხების.

წინააღმდეგ მეორე ინტერნაციონალისა, რომელიც მხოლოდ „თეთრკანიანთა“ ორგანიზაციას წარმოადგენს, ჩვენი ინტერნაციონალი მთელი მსოფლიოს მშრომელთა ჭეშმარიტი გაერთიანებაა.

მეორე ინტერნაციონალის თვით ევროპის პარტიები არ არიან თანასწორ მდგომარეობაში. აქ ჩვენ ვხედავთ იმპერიალისტურ ომში დამარცხებულ და გამარჯვებულ ქვეყნების პარტიებს. ეს გარემოება მოწმობს, თუ რამდენად არიან ისინი გამსჭვალულნი „საკუთარი“ ბურჟუაზიის თვალსაზრისით, რამდენად ფუჭი სიტყვაა მათთვის პროლეტარიატის სოლიდარობის იდეა.

მესამე კომინტერნში გაერთიანებული პარტიები,—ზედმეტია ამაზე ლაპარაკი,—ერთნაირად იბრძვიან როგორც უცხო, ისე თავიანთი ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მეორე ინტერნაციონალი სალაყბოს წარმოადგენს, უსიცოცხლო, უმოქმედო ორგანიზაციას, ან უკეთ, მისი მოქმედება გამოიხატება რევოლიუციონურ მოძრაობის შეფერხებაში, ბურჟუაზიის დახმარებაში.

კომინტერნი უაღრესად მომქმედი, ბრძოლის ორგანიზაციაა. არ ყოფილა არც ერთი ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ მას არ გამოხმაურებიყოს რევოლიუციის შტაბი—კომინტერნი, არ გაეჩაღოს ფართე კამპანია.

მეორე ინტერნაციონალი უბრალო საინფორმაციო ორგანიზაციაა. მასში შემავალი პარტიები ორგანიზაციულათ თითქმის არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ორგანიზაციულ სფეროში ეს „დამოუკიდებლობა“ თუ „ავტონომია“ ერთ-ერთი წყაროა მათი ოპორტიუნიზმის.

კომუნისტური ინტერნაციონალი თანდათან უახლოვდება ერთიან მსოფლიო კომპარტიას, ცენტრალური ხელმძღვანელი შტაბით, რომელიც მიმართულებას აძლევს ყველა მისი სექციების მუშაობას და ბრძოლას. ყველა მასში შემავალი ნაციონალური პარტიები გრძნობენ ურთიერთ შორის ორგანიულ კავშირს.

კომინტერნის მეხუთე კონგრესის დღის წესრიგშიც საპატიო ადგილი აქვთ დათმობილი საორგანიზაციო საკითხებს. ხაზგასასმელია ის გარემოება, რო კომინტერნის ყველა პარტიები ითვისებენ ლენინის და რ. კ. პ. ბოლშევიკურ საორგანიზაციო პრინციპებს.

ვის შეუძლია იყოს კომპარტიის და კომინტერნის წევრად, რა ფარგლებში დაიშვება დისკუსია პარტიის შიგნით, რანაირი უნდა იყოს წყობა პარტ-ორგანიზაციის,—ეს საკითხები უაღრესი მნიშვნელობისაა დასავლეთის ჩვენი პარტიებისათვის. ეჭვი არ არის, რომ ისინი გადაჭრილი იქნებიან კონგრესზე ჩვენი პარტიის გამოცდილების და ლენინის პრინციპების მიხედვით.

კონგრესის დღის წესრიგში დგას კომინტერნის პროგრამის საკითხი. იგი წამოყენებული იყო მეოთხე კონგრესზე. ლენინის წინადადებით გადადებულ იქნა პროგრამის მიღება შემდეგი კონგრესამდე.

უკვე მეორე კონგრესის მიერ მიღებულ ცნობილ 21 პირობაში ჩამოყალიბებულია ძირითადი დებულებანი კომინტერნის პროგრამის, ტაქტიკის და წესდების.

მეხუთე კონგრესი ამ პირობათა საფუძველზე და შემდეგი წლების გამოცდილების მიხედვით განიხილავს კომინტერნის ყველა სექციებისათვის საერთო პროგრამას, სადაც გათვალისწინებული იქნება და შეთავსებული მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლის ძირითადი მომენტები და ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებანი.

კონგრესი გაარჩევს აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა გლეხობის, ნაციონალურ-კოლონიალური, ტაქტიკა პროფმოძრაობაში, კოოპერატიული საკითხი, ინტელიგენციასთან დამოკიდებულება.

ჩვენი დასავლეთის პარტიების წინაშე დგას ამოცანა კოლონიალურ ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობის დაკავშირებისა ევროპის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლასთან, ღარიბ და საშუალო გლეხობის და მშრომელ ინტელიგენციის მიმხრობის, პროფკავშირების დაპყრობის, კოოპერაციაში გავლენის გაძლიერების, ყველა რევოლიუციონურ ძალების გამოყენებისა მშრომელთა დასარაზმავად კაპიტალის წინააღმდეგ.

საერთო გზა აქაც ნაჩვენებია ლენინის მიერ და შემოწმებული საბჭოთა კავშირის სინამდვილით.

კონგრესი გაარჩევს კომინტერნის ცალკე სექციების (საბჭოთა კავშირი, გერმანია, იტალია, ბულგარეთი, ინგლისი, შეერთებული შტატები, იაპონია) მდგომარეობას. ბევრ მათგანში სწარმოებდა დისკუსია ამა თუ იმ საკითხების შესახებ, ადგილი ჰქონდა უთანხმოებებს. ბრძოლაში მათ განიცადეს როგორც გამარჯვება, ისე დამარცხებაც. შინაპარტიული კრიზისი ყველა სექციებში თითქმის დაძლეულ იქნა ამ ბოლო დროს.

კონგრესი იქონიებს მსჯელობას კომინტერნის სექციების მიერ ჩადენილ შეცდომებზე, თუ გატარებულ სწორ პოლიტიკაზე და გამოიტანს თავის ავტორიტეტულ, საბოლოო დადგენილებას მათ შესახებ. ეს გარემოება უეჭველად ხელს შეუწყობს კომინტერნის პარტიების შინაური მდგომარეობის უფრო განმტკიცებას და მოქმედების სწორი ხაზის დასახვას.

კომინტერნის უახლოეს ტაქტიკის გამოსარკვევად აგრეთვე აუცილებელია მსოფლიო ეკონომიურ მდგომარეობის უტყუარი წარმოდგენა. ეს საკითხი ცალკე მუხლადაა შეტანილი კონგრესის დღის წესრიგში. მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკა დღეს საერთოდ ისევ რღვევას განიცდის, ღრმავდება ეკონომიური წინააღმდეგობანი ცალკე კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის. კაპიტალისტური მეურნეობის ვითომდა სტაბილიზაცია, რაზედაც გაიძახიან ბურჟუაზიული წყობილების დამცველნი, მხოლოდ მოჩვენებითია და დროებითი.

კონგრესი მსოფლიოს დღევანდელი ეკონომიური სინამდვილის თავისებურებას შეუფარდებს თავის ბრძოლის მეთოდებს.

კონგრესის დღის წესრიგის პირველ მუხლად დგას: ლენინი და კომინტერნი. ლენინი დამაარსებელია კომუნისტური ინტერნაციონალის, მისი ბელადი, მისთვის მიმართულების მიმცემი.

თუმცა მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლი ფიზიკურად უკვე ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მისი იდეები, ლენინიზმი ნამდვილად დღეს ისხამს ხორცს **მსოფლიო მასშტაბით.** და ცხადია, რომ კომინტერნის კონგრესი ლენინიზმის ნიშან ქვეშ ჩატარდება.

მიწათმოწყობის საქმე ჩვენში

მიწის მოწყობა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით საქართველოსთვის უცხო საქმეა. მთავარი მიზეზი ამისა არის მიწის სარგებლობის კერძო მესაკუთრეობის პირობები, ნაჭრობით მიწის სარგებლობა საშვილიშვილოდ. მიწა აქ მამა-პაპიდან განსაზღვრულ ნაკვეთებათ უჭირავს ცალკე კომლს; ამ ნაკვეთების გადაჯგუფება, ან ერთი ხელიდან მეორეში გადასვლა დღემდე ხდებოდა მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ან ანდერძის სახით. მიწის სარგებლობის ასეთ ფორმას აქვს ფრიად სერიოზული ობიექტიური მიზეზები (ნიადაგის ავ-კარგიანობა, ტოპოგრაფია, ჰავა და სხ.), რის გამოც ის ხდება დიდ დამაბრკოლებელ გარემოებათ მიწის რაციონალურათ მოწყობისათვის.

ამ მხრით თუ საქართველოს შევადარებთ რუსეთს, ამ მიწის მოწყობის კლასიკურ ქვეყანას, დიდ განსხვავებას ვნახავთ. რუსეთის ტერიტორიის ოთხ მეხუთედზე მიწა სათემო სარგებლობაშია, ესა თუ ის კომლი სარგებლობს სახნავ-სათესით და სათიბით სამი, ხუთი ან თორმეტი წელი, იმის და მიხედვით თუ რა თვისებისაა მიწა; ამ ვადის შემდეგ კი მიწები ხელახლა გაიყოფა, ნაკვეთების ფორმა მოიშლება, მიწა განაწილდება სულადობის (количество едоков) მიხედვით, გამრავლებულ ოჯახს მეტი მიეცემა და შემცირებულს ნაკლები; ურყევათ რჩება მხოლოდ სამოსახლოებით, საბოსტნეებით და ბაღებით სარგებლობა.

ცხადია, როცა უმთავრეს მნიშვნელობის მიწებზე (როგორიცაა ხორბლეულობის მეურნეობისათვის სახნავი და სათიბი მიწები) არ არსებობს ცალკე კომლის მტკიცე უფლება და ეს მიწები სოფლის (ან თემის) განკარგულებაშია, იმ შემთხვევაში ადვილია მიწათმოწყობის საქმე, რამდენათაც ამას ხელს არ შეუშლის ნივთიერი პირობები. აქ საქმე თითქოს ახლად აღმოჩენილ ტერიტორიასთან გვაქვს, რომელსაც პატრონი —კერძო მესაკუთრის სახით—არა ჰყავს და ხალხი ზედ ახლად ეწყობა და მკვიდრდება მიწის სარგებლობის ისეთი ფორმით, რომელიც მას საუკეთესოთ მიაჩნია.

ასეთ პირობებში მიწათმოწყობის წარმოება—მიწების გახარისხებით, ნიადაგის ყოველმხრივი გამოკვლევით შემოსავლიანობის შეფასებით, ეკონომიური, სამეურნეო და უფლებრივი პირობების შესწავლით, ყოფა-ცხოვრების განსაკუთრებული ხასიათის გათვალისწინებით და სხვადასხვა—ხდება დიდი სახელმწიფოებრივ საქმეთ. აქ სოფლის მშრომელი მოსახლეობის ნივთიერათ უზრუნველყოფაზე, მისი შრომის განაყოფიერებაზე და პროდუქციის გადიდებაზე ლაპარაკი ზედმეტია, სანამ მიწა არ იქნება რაციონალურად დანაწილებული. ეს იყო მიზეზი რომ 1921 წელს ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოცხადებისთანავე მეცნიერულ-ტეხნიკურ საფუძველზე დაფუძნებული მიწადმოწყობა უდიდეს სახელმწიფოებრივ საქმეთ იქნა გამოცხადებული.

ჩვენში-კი როგორც მიწათმოწყობის საქმეს, ისე მის მსვლელობას სხვა ხასიათი აქვს. იმ სახით, როგორც ის სწარმოებს რუსეთში, მიწადმოწყობა შესრულდება აქ მხოლოდ ჯავახეთში, სადაც მცხოვრებნი მოითხოვენ სათემოდან მიწის კერძო სარგებლობაზე გადაყვანას, ან ახალშენების მოწყობის დროს. რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში-კი ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიულად განმტკიცებულ კერძო მიწის სარგებლობასთან ცალკე ნაკვეთებათ, რომელთა რაოდენობა ერთი კომლის ხელშია, ფორმა და სიდიდე ხშირათ სიმახინჯემდე მიდის; იშვიათი არაა კომლი, რომელსაც 50—60 ცალკე ნაკვეთი აქვს სარგებლობაში ერთმანეთისაგან 10—15 ვერსის მანძილზე დაშორებული, ნაკვეთების ფორმა უსწორო და ფანტასტიურია. სიდიდე ასეთი ნაკვეთებისა არ აღემატება 100—150 კვადრ. საჟენს და სიგრძე კი 100—200 საჟენზეა გაჭიმული, ასე რომ ნაკვეთი უფრო ვიწრო გზას წარმოადგენს, ვიდრე სასოფლო მეურნეობის დარგისათვის რაიმე ღირებულ ერთეულს.

ადვილი წარმოსადგენია რა შედეგებს მისცემს მიწის მუშას ასეთი ნაკვეთების სარგებლობა: აუარებელი მიწა იკარგება საზღვრებზე, წვეტიან კუთხეებზე, თხრილებზე, უფრო მეტი შრომა და ენერგია—საზღვრების კეთებაზე, შელობვაზე და მუშაობის დროს ნაკვეთიდან ნაკვეთზე გადასვლაზე და სხ. ამიტომაა რომ მიწის კერძო სარგებლობის ხანაში საუკეთესო ფორმათ მიწის სარგებლობისა ითვლება მიწის მუშისათვის საჭირო ყველა მიწების ერთ ფარგალში თავის მოყრა. მაგრამ ეს ფორმა დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ობიექტიურ პირობებზე, როგორიცაა მიწის სიუხვე, მისი ერთფეროვნება თვისებების მხრივ, წყლითა და ტყით უზრუნველყოფა და სხ.

ეს სრულიად ბუნებრივი პირობები მიწის პატარ-პატარა ნაკვეთებათ დაქუცმაცებისა შეუძლებლად ხდიან ჩვენში მიწების მოწყობას იმ სახითა და ფართო მასშტაბით, როგორც ეს დღეს რუსეთში სწარმოებს. მიწის ნაკვეთების გადაჯგუფება და გაცვლა შეუძლებელი გამხდარა. აქ ძალდაუტანებლათ არაფერი გაკეთდება. მაგრამ ზარალი მიწის ასეთი დაწვრილმანებისა სოფლის მეურნეობისათვის ისე დიდია, რომ ძალდატანება ამ შემთხვევაში სრულიად გასამართლებელია.

მიწადმოქმედების კომისარიატი ა. წ. 3 ივნისის ინსტრუქციით კატეგორიულად მოითხოვს მიწათმოწყობის ორგანოებისაგან ფართოდ აწარმოონ ნაკვეთების თავის მოყრა და შეერთება ერთი მოსარგებლის ხელში „ნაკვეთების გაცვლა-გამოცვლით, მიწების არჩევის უფლების შეკვეცით“ „მოახდინონ იძულებით ნაწილობრივი გაუქმება ამ დაქუცმაცებისა, მიუხედავათ მიწის მოსარგებლეთა უკმაყოფილებისა“.

ეს მთელი რევოლიუციაა ჩვენი მიწის სარგებლობის სფეროში. ის რთული და ერთობ ძნელი ამოცანაა, რაც მოითხოვს გამოცდილ და მცოდნე მიწის მომწყობ-ტეხნიკოსს, ჩვენი სოფლის პირობებთან შეზრდილს და მის გულშემატკივარს.

ასეთია მიწათმომწყობის ერთი მხარე—ტეხნიკური, ან სამეურნეო-ეკონომიური. მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობისაა მეორე მხარე-უფლებრივი. მიწის მოსარგებლე მხოლოდ მაშინ დაამუშავებს მიწას გულმოდგინეთ, მუყაითად გაანოყიერებს მას, რომ გაადიდოს მისი შემოსავლიანობა, თუ ის დარწმუნებული იქნება, რომ როგორც მიწა ისე მისი ნაშრომნაოფლარი მას არ ჩამოერთმევა გარდა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებისა.

ამნაირად მიწათ-მოწყობა საქართველოში მთავარ ყურადღებას მიაქცევს ნაკვეთების გაერთიანებას კანონიერი ნორმის ფარგლებში და სიმტკიცის აქტის მიცემას მიწის მუშისათვის, რათა ეს უკანასკნელი სრული დარწმუნებული იყოს, რომ ერთხელ კანონიერათ მიღებული მიწა მას კანონს გარეშე არ ჩამოერთმევა. ამ მხრივ მიწათმოქმედების კომისარიატმა გადადგა ახალი ნაბიჯი, რომლის თანახმად ყველა მიწის მოსარგებლეს ეძლევა ასეთი სიმტკიცის დოკუმენტი, რაც დაამშვიდებს და დაიმედებს ჩვენის სოფლის დაშინებულ მოსახლეობას.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ რადგანაც მიწათმოქმედების კომისარიატს, სრულიად დაუძლეველ მიზეზების გამო, არ შეუძლია იყოლიოს მიწათმოწყობისათვის 40 მიწისმზომლებზე მეტი და ამ რიცხვით ერთსა და იმავე დროს აწარმოოს მუშების და საძოვრების მოწყობა, ამიტომ მაზრის აღმასრულებელი კომიტეტების უნარზე და ინიციატივაზეა ეხლა დამოკიდებული მიწათ-მოწყობის მომავალი, მისთვის საჭირო ღონისძიებათა გამონახვა და საჩქაროთ დამთავრება.

ჰ. გ—ძე.

კერძო ვაჭრობის უკანასკნელი დღეები მოსკოვში

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ბევრს წერილის სათაური შეცდომაში შეიყვანს და იფიქრებენ, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემულია დადგენილება, რომლითაც ისპობა კერძო ვაჭრობა და ამიტომ დადგა კერძო ვაჭრობის უკანასკნელი დღეებიო. ასეთ ხმებს მართლაც ავრცელებენ საზღვარ-გარეთ გაქცეული კონტრ-რევოლიუციონერები, რათა ხელი შეუშალონ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და სხვა ქვეყნების დაახლოვებას. მათი ინფორმაციით კომუნისტური პარტიის მე-13 ყრილობამ მოსპო ახალი ეკონომიური პოლიტიკა და უბრუნდება სამხედრო კომუნიზმს, მაშინ როცა ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა თავის დადგენილებებში ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლების ურყევლობა მიმდინარე დროისათვის. არც კერძო ვაჭრობის გაუქმება უფიქრია ვინმეს დეკრეტით. ყრილობამ დაისახა მიზნათ გააძლიეროს სახელმწიფოებრივი ვაჭრობა და **კონკურენციის საშუალებით** ებრძოლოს მას. მოკლე დროში სახელმწიფო და კოოპერატიულმა სავაჭრო ორგანოებმა კერძო ვაჭრობასთან თავისუფალი კონკურენციის გზით უნდა დაიპყრონ ბაზრის უმეტესი ნაწილი, რომლის 60 პროც. ახლა კერძო ვაჭრებს უჭირავთ. თუ რამდენათ შესაძლებელი იქნება ბაზრის სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანოებისაგან დაპყრობა, ეს დამოკიდებულია ჩვენი ვაჭრობის უნარიანობაზე. იქ სადაც კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები ძლიერნი იქნებიან ბაზარიც მათ ხელში ჩავარდება. სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა მდგომარეობა იქნება. ბევრგან შეიძლება კერძო ვაჭრობამ კარგა ხანს შეინარჩუნოს ბაზარზე ბატონობა.

ვიმეორებ კიდევ, რომ კერძო ვაჭრობის დეკრეტით აკრძალვას ადგილი არ აქვს. მე მსურს წერილში: „კერძო ვაჭრობის უკანასკნელ დღეები მოსკოვში“ მკითხველებს გავაცნო თუ როგორ მდგომარეობამდე მიიყვანა სახელმწიფო და კოოპერატიულმა ვაჭრობამ კერძო ვაჭრობა მოსკოვში. საერთოთ, პირადი დაკვირვებით, მოსკოვში კერძო ვაჭრობა სულს ლაფავს, თანდათან კვდება, ვერ უძლებს სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანოების კონკურენციას. ეს უკანასკნელნი თანდათან ძლიერდებიან.

რომელი დარგი არ უნდა აიღოთ, ყველგან სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანოებს თავის აპარატი აქვთ. დაწყებული მსხვილი ინდუსტრიის ნაწარმოებიდან, გათავებული გასტრონომიული და სასურსათო საგნების ვაჭრობით—ყველაფერი მათ ხელშია. მოსკოვის ყველა უბნებში და თითქმის ყველა დიდ ქუჩებზე თქვენ შეხვდებით „მოსელპრომის“ (მოსკოვის სამეურნეო ორგანო არის) ვებერთელა სასურსათო-გასტრონომიულ მაღაზიებს, პურის და საკონდიტერო საცხობებს, ლუდის ყავახანებს. არა ნაკლები რიცხვის არის მოსკოვის მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირის МСПО—შეეფერება ჩვენებურ მუშათა კოოპერატივებს) უნივერსალური მაღაზიები, სადაც კოოპერატივის წევრი ყიდულობს ყველაფერს 10—20 პროცენტით ნაკლებათ, ვიდრე კერძო მყიდველები. არის კიდევ რამოდენიმე ასეული მაღაზია მოფენილი მოსკოვის ყველა უბნებში ეგრეთ წოდებულ „გოსმალაკო“-სი და გლეხთა სასოფლო კოოპერაციის კავშირის, სადაც იყიდება წმინდა რძე, კარაქი, ყველი, ერბო, კვერცხები და სხვა.

არის კიდევ ყველა უბნებში ჩაის ტრესტის მაღაზიები, სადაც იყიდება ჩაი, ყავა, შაქარი, ციკორი და სხვა. ყველა ტრესტებს (სამანუფაქტურო და სხვებს) გახსნილი აქვთ ქალაქის რამოდენიმე ნაწილში სავაჭრო მაღაზიები:

გაშლილ ბაზრებზე (სუხარევკა, სმოლენსკის, არბატის და სხვაგან), სადაც უმეტეს ნაწილათ კერძო ვაჭრები არის, ამ უკანასკნელ დროს გახსნილი იქნა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოებისპატარაგაშლილიდარაბები

თუ როგორ მიმდინარეობს ვაჭრობებში.

ბა, ამის დამამტკიცებელი არის მყიდველების რიცხვი. ამ მხრივ ადგილი აქვს ორ უკიდურესობას:—კერძო სავაჭროში თითქმის ცარიელი არიან სახელმწიფო და საკოოპერაციო კი სავსე (ხან და ხან რიგებსაც შეხვდებით). ცხადია, აქ ბრალი არ შეიძლება დავდოთ „მთავრობის განკარგულებას“—მყიდველი დადის თავის სურვილზე და არავის მითითებით და ბძანებით ის არ დაიწყებს სიარულს. მყიდველი ცდილობს საქონლის ყიდვას ხელსაყრელ ფასებში მისთვის სულ ერთია, თუ სად იყიდის საქონელს—კერძო სახელმწიფო, თუ კოოპერაციის მაღაზიაში. მარტო მაღაზიის სახელწოდება მისთვის არაფერს არ ნიშნავს. თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის ცხადი იქნება თუ რატომ ყავთ ძალიან ცოტა კლიენტები მოსკოვში კერძო მოვაჭრეებს და ბევრი სახელმწიფოსა და კოოპერატიულ სავაჭროებს. უფრო იაფი და სალი საქონელი მყიდველებს იზიდავს სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებისკენ.

თუ რა განსხვავება არის კერძოსა და სახელმწიფო სავაჭროებში ფასების მხრივ, ამის შესახებ მსურს გაუზიარო მკითხველებს ის დასკვნები, რომელიც გამოვიტანე პირადი დაკვირებით.

თუ ავიღებთ მანუფაქტურას— აქ ფასების განსხვავება კერძო და სახელმწიფო სავაჭროებში განსაცვიფრებელია. მაგალითად ის რაც ღირს სახელმწიფო და საკოპერაციო მაღა-, ზიაში ერთი მანეთი, კერძოსაში ღირს 3 მანეთად, საერთოდ მანუფაქტურა კერძო სავაჭროებში ორჯერ სამჯერ მეტი ღირს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფო სავაჭროებში ზომა სწარმოებს მეტრობით (ერთი მეტრი უდრის თითქმის ერთ არშინ ნახევარს), კერძოსაში კი არშინობით, ეს მათთვის სასარგებლოა რათა დაფარონ ფასების დიდი განსხვავება.

აქვე ითქმის სხვა საგნებზედაც. მხოლოდ სასურსათო საგნებზე ფასები, ისე დიდათ როგორც მანუფაქტურაზე, არ განსხვავდებიან. მაგრამ განსხვავება აქ არის საგნების ხარისხში. მაგალითად კარაქი და რძე შეგიძლიათ იყიდოთ ერთ და იგივე ფასში კერძოსა და სახელმწიფო სავაჭროში, მაგრამ კერძო სავაჭროში ნაყიდი გაცილებით უფრო ნაკლები ხარისხის იქნება. კერძო სავაჭროებში ხშირად ადგილი აქვს პროდუქტების ფალსიფიკაციას.

ამრიგათ მოსკოვის კერძო ვაჭრობა სულს ლაფავს და კვდება სახელმწიფო და საკოპერაციო ვაჭრობასთან ბრძოლაში. მყიდველებმა ზურგი აქციეს კერძო სავაჭროებს. ეს ხდება სრულიად ბუნებრივად და არავითარი ადმინისტრატიულ ზომებს ამაში „ბრალი“ არ შეიძლება დავდოთ.

კერძო მოვაჭრეები გრძნობენ ამას. მათი ენა-წყლიანი და ტკბილი მოქცევა მყიდველისადმი „მხოლოდ თქვენთვის“, „თქვენი ხათრისთვის“, „იქცევა გინებათ, როცა მყიდველი უპასუხებს „სახელმწიფო მაღაზიაში ამდენი ღირს და თქვენ კი ორჯერ მეტათ ყიდით“-ო.

ლან—ძე.

მოსკოვი 14 ივნისი

კომინტერნის მეხუთე კონგრესი

კომინტერნის მსოფლიო კონგრესის დელეგატების შეხვედრა

კომინტერნის გავლენა იზრდება უცხოეთის მუშებს შორის

ამსტერდამის ყვითელი პროფკავშირები იშლება; პროფინტერნის გავლენა მატულობს

კონგრესის გახსნა

განსვენებულთა ხსოვნის საპატივსაცემოდ

მოსკოვი. 18 ივნისი. 17 ივნისს დიდ თეატრში მოსკოვის პროლეტარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობით დიდის ზეიმით გაიხსნა კომინტერნის მეხუთე კონგრესი.

სხდომას ხსნის კომინტერნის მდივანი ამხ. **კოლაროვი**, რომელიც წინადადებას აძლევს კონგრესის მონაწილეებს ფეხზე ადგომით პატივი სცენ მსოფლიო რევოლიუციის უდიდესი ბელადის ლენინის ხსოვნას. ყველანი ფეხზე დგებიან. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს.

ამხ. კოლაროვის წინადადებით, კონგრესმა ფეხზე ადგომით პატივი სცა ბულგარეთის კომპარტიის დამაარსებელის, განსვენებული ამხ. ბლაგოევის ხსოვნას.

პრეზიდიუმის არჩევა

პრეზიდიუმში არჩეული არიან: თავმჯდომარე—ამხ. **ზინოვიევი**, პრეზიდიუმის წევრები—**კლარა ცეტკინა**, რ. კომპარტიისაგან—ამხ. **სტალინი, ბუხარინი, ტროცკი**, გერმანიის კომპარტიისაგან—**ბრაუნი და გერგარდტი**, საფრანგეთის კომპარტიისაგან—**ტრენტ და ხელიე**, იტალიის კომპარტიისაგან—**ბოდრიგა**, ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიისაგან—**მერალი და მუნა**, ბალკანეთიდან—ამხ. **კოლაროვი**, პოლონეთის კომპარტიისაგან—ამხ. **კრაევსკი**, იაპონიიდან—ამხ. **კატაიამა**, ინდოეთიდან—**როი**, ინგლისიდან—**სტიუარტი**, ამერიკიდან **დენი**.

მისალმებანი

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ზინოვიევმა**, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდენ.

რ. კ. პ. ც. კ. სახელით კონგრესს მიესალმა ამხ. **რიკოვი**.

პროფინტერნის სახელით—პროფინტერნის გენერალური მდივანი ამხ. **ლოზოვსკი**.

შემდეგ მისალმებებით გამოვიდენ მრავალრიცხოვან მუშათა ორგანიზაციების და ნორჩ პიონერთა წარმომადგენლები.

საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობა

საუბარი ამხ. ლოზოვსკისთან

მოსკოვი. 18 ივნისი. „როსტას“ თანამშრომელი ესაუბრა მეხუთე კონგრესის მომხსენებლებს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ ამხ. ლოზოვსკიმ შემდეგი განაცხადა.

მუშათა მოძრაობის ახალი ტალღა

საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში დიდ გარდატეხას ვამჩნევთ მიმდინარე წლის დასაწყისიდან. **ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია უდიდესი გაფიცვები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ რამდენიმე ხნის წინათ ინგლისში და გერმანიაში. მუშათა მოძრაობას გამოცოცხლება ეტყობა საფრანგეთში და აგრეთვე სხვა ქვეყნებში.** მუშათა მოძრაობის გამოცოცხლება რევოლიუციონური პროფკავშირების წინაშე აყენებს მთელ რიგ ახალ საკითხებს და უკარნახებს მათ გამოიმუშაონ ბრძოლის ისეთი მეთოდები, რომლის საშუალებით მოხერხდებოდა ბურჟუაზიისა და საერთაშორისო რეფორმიზმის დაძლევა.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში დაიწყო რევოლიუციონური პროფმოძრაობის ზრდა ყველა ქვეყნებში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს მოვლენა ინგლისში, სადაც სამთო-მადნო წარმოების, ლითონის მრეწველობის, ტრანსპორტისა და ხის დამმუშავებელ მუშებს შორის პროფინტერნის მომხრეთა გავლენა საგრძნობლათ გაიზარდა. ინგლისის მაღაროს მუშათა კავშირის გენერალურ მდივნად არჩეულია პროფინტერნის მომხრე. ასეთივე გადახრას მარცხნივ ჩვენ ვხედავთ საფრანგეთშიც, სადაც რეფორმიზმი უკვე სულს ლაფავს.

დიდი გამოცოცხლება ეტყობა მუშათა მოძრაობას აგრეთვე გერმანიაში, სადაც ოქტომბრის დამარცხების შემდეგ უკვე თებერვალში, მარტში და აპრილში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სერიოზულ კლასობრივ გაფიცვებს. მუშებმა დაგვანახვეს, რომ ისინი მზად არიან იბრძოლონ არა მარტო კაპიტალიზმის, არამედ რეფორმიზმის წინააღმდეგაც.

შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ **რევოლიუციონური პროფმოძრაობის ზრდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და იტალიაში და აგრეთვე სხვა ქვეყნებში მიმდინარეობდა პროფინტერნის დროშის ქვეშ.**

ამსტერდამის ინტერნაციონალი იშლება.

ამსტერდამისა და მისი შემადგენელი ორგანიზაციების დაშლა უკანასკნელ ხანებში ძლიერ გაძლიერდა. ამსტერდამელების მძიმე საორგანიზაციო კრიზისმა ყველაზე მწვავეთ იჩინა თავი გერმანიის პროფმოძრაობაში. **გერმანიაში ამსტერდამელებმა რამდენიმე მილიონი მომხრე დაკარგეს.** როცა უკანასკნელ ხანებში თვალყურს ვადევნებთ ამსტერდამელების მოღვაწეობას, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ **ამსტერდამის ინტერნაციონალის წრეები უფრო და უფრო აშკარად დგებიან ფაშიზმის დროშის ქვეშ, ფაშისტების შტრეიკბრეხერები ხდებიან.** ამან გამოიწვია მემარცხენე ფრთის შექმნა და ჩამოყალიბება. მემარცხენე ფრთა ცალკე კავშირების საერთაშორისო გაერთიანებებისათვის ავტონომიას მოითხოვს. მემარცხენე ფრთას ამით სურს მიიღოს საშუალება ერთიანი ფრონტი შეიქმნას რევოლიუციონურ პროფკავშირებთან, რის წინააღმდეგ, რასაკვირველია, ილაშქრებს მემარჯვენე ფრთა.

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

მაგრამ ჩვენ დაუღალავად უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობის დასაცავად. ჩვენ უდიდესი შეცდომა დაუშვით, როცა წამოვეგეთ ამსტერდამელების ანკესზე. ამსტერდამელები ცდილობდენ, რომ რევოლიუციონურ მუშებს თავისი ცალკე კავშირები შეექმნათ. მაგრამ მთლიანობისათვის ბრძოლის ლოზუნგებზე უარის თქმით, ჩვენ ამით მთლიანობის დაცვის მონოპოლიას ვანიჭებთ რეფორმისტებს. ბრძოლა პროფკავშირების მთლიანობისათვის მომავალშიც ჩვენი ლოზუნგი დარჩება ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიც არის ჩეხოსლოვაკია და საფრანგეთი, სადაც ჩვენ უკვე გვაქვს პარალელური ორგანიზაციები. **ჩვენ ენერგიულ და სტატიკ ბრძოლას ვაწარმოებთ პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.**

საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები.

მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების საკითხი. ფაბქარხკომების მხოლოდ ჩანასახები გვაქვს დასავლეთ ევროპაში. გერმანიაშიც კი, სადაც საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების მოძრაობა საკმაოთ ძლიერია, იქაც კი არ ჩამოყალიბებულა ის გარკვეულ ფორმებში.

ფაბქარხკომების მოწყობა პროფინტერნის მომხრეების მთავარ ამოცანათ უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც პროფმოძრაობა მთლიანი არ არის. მთელი მუშათა მასა უნდა გავაერთიანოთ საქარხნო საფაბრიკო კომიტეტების გარშემო. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები უნდა გადავაქციოთ წარმოებების ხელმძღვანელ ორგანოებათ.

ნაციონალური საკითხი პროფმოძრაობაში

ნაციონალური საკითხი პროფმოძრაობაში ფორმალურად გადაჭრილია, ფაქტიურად კი არა. ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ ნაციონალური პრინციპის მიხედვით მოწყობილი პროფკავშირები, მაგალითად ჩეხო-სლოვაკიაში. **რეფორმიზმისათვის ნაციონალური შუღლი პროფკავშირებში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს რევოლიუციონურ პროფკავშირებში.** გაბატონებული ერის პროფკავშირების მხრივ საჭიროა გაგება იმის, რომ შემუშავებული უნდა იქნეს განსაკუთრებული მეთოდები პროფმოძრაობაში ნაციონალური უთანხმოების აღმოსაფხვრელად.

პროფკავშირებში ნაციონალურ უთანხმოებათა აღმოფხვრა არ არის ძნელი, თუ გაბატონებული ერის მუშები თავის ინტერნაციონალიზმს დაამტკიცებენ საქმით.

ჩვენი ამოცანები კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში

სამწუხაროდ პროფინტერნმა ჯერ კიდევ ცოტა გააკეთა ახლო, შუა და შორეულ აღმოსავლეთში მუშაობის დარგში. უკანასკნელი წლის განმავლობაში ამსტერდამელები ცდილობენ გზას გაკაფვას აღმოსავლეთისაკენ და იტყუებენ იაპონელ მუშებს შრომის საერთაშორისო ბიუროში. **უნდა შევქმნათ აღმოსავლეთის საკითხის მცოდნეთა სერიოზული კადრი რევოლიუციონურ პროფმუშაკებიდან და ჩვენი მუშაობა გადავიტანოთ კოლონიალურ და ნახევრათ კოლონიალურ ქვეყნების ყველაზე უფრო დაჩაგრულ და გაყვლეფილ კუთხეებში.**

გლეხობა და პროფკავშირები.

საკითხი გლეხობასა და პროფკავშირების შესახებ პირველათ დაისვა პროფკავშირების ყრილობაზე გლეხთა ინტერნაციონალის შექმნის გამო.

მილიონ გლეხების გალატაკების პროცესი ყველა ქვეყნებში, გლეხობაში უკმაყოფილების ზრდა და მათში გაერთიანების სურვილი თავისთავად აშკარად ხდიან, რომ მუშათა კლასი მხარს დაუჭერს ამ მოძრაობას. მაგრამ საჭიროა ერთგვარი შემაკავშირებელი მექანიზმი, რათა გლეხობა მოვაქციოთ ქალაქის ინტერესების სფეროში. ასეთ მექანიზმს წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო მუშები. **სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირი უნდა გადაიქცეს ცენტრად, რომლის გარშემო თავს მოიყრიან გლეხების ყველა უკმაყოფილო ელემენტები.**

ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

ბრძოლა ფაშიზმისა და განსაკუთრებით კი ფაშისტური პროფკავშირების წინააღმდეგ კვლავინდებურად რევოლიუციონური პროფკავშირების მორიგ ამოცანას წარმოადგენს. იტალიაში, გერმანიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში ფაშისტური ორგანიზაციებში ცდილობენ თავის მხარეზე გადაიბირონ მუშათა მასები. ფაშისტების აქტივობას უნდა დაუპირდაპიროთ პროფმოძრაობის რევოლიუციონური ელემენტების გაათკეცებული ენერგია. ფაშიზმი კონტრ-რევოლიუციის ავანგარდია და ჩვენ ის უნდა დავამარცხოთ უფრო ადრე, ვიდრე ის გზას გაიკაფავდეს ფაბრიკა-ქარხნებისაკენ, სადაც მასთან ბრძოლა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ეხლა.

ქალი პროფმოძრაობაში.

ქალების რიცხვი პროფკავშირებში ჯერ კიდევ მცირეა, მუშა-ქალების ფართე მასები ჯერ კიდევ პროფმოძრაობის გარეშე იმყოფებიან; ეს უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მუშათა მოძრაობისათვის. უნდა შევქმნათ სამდივნოები ქალთა შორის მუშაობისათვის და მივიღოთ ყველა ზომები, რათა მუშა-ქალები რევოლიუციონურ პროფმოძრაობაში ჩავაბათ.

ახალგაზრდობა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ რევოლიუციონური კავშირები სუსტად აქცევენ ყურადღებას ახალგაზრდობას. ჩვენს ბრძოლაში საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებისათვის, საჭიროა წამოვაყენოთ საკითხი ახალგაზრდობის ჩაბმის შესახებ კომიტეტებში. ამ მხრივ **პროფინტერნმა ახალგაზრდობის ინტერნაციონალთან ერთად გამოიმუშავა მოქმედების ვრცელი პროგრამა.**

ჩვენი პრესა.

უდიდესი მუშაობა უნდა შევასრულოთ ჩვენ აგრეთვე რევოლიუციონური პროფესიონალური პრესის შექმნის საქმეში. ყველა ქვეყნებში ჩვენი პრესის ტირაჟი უფრო ნაკლებია, ვიდრე პროფინტერნის მომხრეთა რიცხვი. უნდა მივიღოთ ზომები, რომ ჩვენი პრესის ტირაჟი ავსწიოთ. უნდა მივიღოთ აგრეთვე ზომები თითეულ ქვეყანაში სერიოზული ცენტრალური ორგანოს შესაქმნელად მთელი რევოლიუციონური პროფმოძრაობისათვის.

დასკვნა.

ამრიგათ ჩვენ ვხედავთ, თუ რა ძნელი და რთული პრობლემები დგას რევოლიუციონური პროფმოძრაობის წინაშე ყველა ქვეყნებში. საჭიროა კიდევ დიდი მუშაობა, დიდი ენერგიის დახარჯვა, რომ ბურჟუაზიასა და რეფორმისტებთან ბრძოლის პროცესში შემოვიერთოთ ათეული მილიონი მუშები.

ერრიოს მთავრობის „მტკიცე“ პროგრამა

ერრიო წარსდგა პალატაში თავისი პროგრამით

გერმანიის პრესა აღშფოთებულია ერრიოს განცხადებით რურის ოკუპაციის გაგრძელების შესახებ

ახალი მთავრობის პროგრამა

მთავრობის დეკლარაცია

პარიზი. 16 ივნისი. ახალმა კაბინეტმა შეიმუშავა მთავრობის დეკლარაციის ტექსტი, რომელიც გადაეცემა წინასწარ განსახილველად დუმერგს.

დეკლარაციის მთავარ მუხლებს შეადგენენ: შინაური პოლიტიკის დარგში—საყოველთაო ამნისტია, რომელიც არ ეხება მხოლოდ სახელმწიფოს მოღალატეებს; იმ რკინისგზელთა აღდგენა უფლებებში, რომლებიც დათხოვნილ იქნენ გაფიცვის გამო; საფრანგეთის საელჩოს გამოწვევა ვატიკანიდან; სისწორით დაცვა კანონისა სარწმუნოებრივ კავშირების შესახებ; სამხედრო ხარჯების შემცირება იმ ზომამდე, რომელსაც შესაძლებლად ხდის ქვეყნის თავდაცვის აუცილებლობა; იმ დეკრეტების გაუქმება, რომლებიც გამოცემულ იქნენ პუანკარეს მთავრობის მიერ საგანგებო უფლებების წესით; მონოპოლიის აღდგენა ასანთზე; ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობის სწორი დათვალიერების ჩატარება ბიუჯეტის წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით; საგადასახადო ბოროტმოქმედებათა ალაგმვა, გადასახადების შემსუბუქება მოხმარებაზე და ასეთების შემოღებაზე ბრუნვაზე; კანონის დაცვა 8 საათის სამუშაო დღის შესახებ; მუშების პროფესიონალურ უფლებების დაცვა; სახელმწიფო მოსამსახურეების პროფესიონალურ უფლებების ცნობა; ადმინისტრატიული რეფორმები.

საგარეო პოლიტიკის დარგში: მშვიდობიანობის განმტკიცება ხალხთა შორის თანხმობის დამყარების გზით; ერთა ლიგის როლის გაფართოება; **ნორმალურ ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან;** ექსპერტთა მოხსენებების მიღება; რურის ოკუპაციის დატოვება მანამდე, სანამ გერმანია არ გადასცემს ექსპერტთა კომისიის მიერ გათვალისწინებულ გირაოებს ის საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთაც დაკისრებული ექნებათ მათი მოვლა; გერმანიის განიარაღებაზე კონტროლის განახლება; საფრანგეთის მშვიდობიანობის და უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრა ერთა ლიგის ავტორიტეტით დადასტურებულ საერთაშორისო ხელშეკრულებების და გარანტიების დადების გზით.

მეგობრული ურთიერთობა ინგლისთან.

პარიზი. 16 ივნისი. **ერრიომ დაადასტურა, რომ ის მიემგზავრება ლონდონში ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.**

ახალი მთავრობის მუშაობა

ერიოს დეკლარაცია

პარიზი 18 ივნისი დღეს დეპუტატოა პალატაში პრეზიდენტ დუმერგის მიერ გამოგზავნილი ბარათის წაკითხვის შემდეგ გამოქვეყნებული იქნა ახალი კაბინეტი დეკლარაცია.

დეგუტის მოხსენება.

ბერლინი 18 ივნისი. სამხედრო მინისტრ ნოლეს თანდასწრებით ერიომ მოისმინა გენერალ დეგუტის მოხსენება ოკუპაცია-ქმნილი ოლქების მდგომარეობის შესახებ.

საფრანგეთი და გერმანია.

ბერლინი 18 ივნისი. პარიზიდან მოსული ცნობით, **ერიომ ოფიციალურათ ინახულა გერმანიის ელჩი პარიზში ფონ-გეში,** რომელთანაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

ერიომ განუცხადა „ნიუ-იორკ უორლდ“-ის კორესპონდენტს, რომ **მას განზრახული აქვს გამოვიდეს წინადადებით ერთა ლიგაში გერმანიის მიღების შესახებ,** რადგან ეს დააჩქარებს სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტას.

ერიოს გამგზავრება.

პარიზი 18 ივნისი. ამ კვირის დამლევს ერიო გაემგზავრება ლონდონსა და ბრიუსელში.

მაკდონალდი და მუშები

მაკდონალდის სიტყვა

ახალი არჩევნები.

ლონდონი. 16 ივნისი. მაკდონალდმა, რომელმაც პასუხი გასცა შეკითხვაზე თემთა პალატაში, განაცხადა, რომ ის სავსებით დარწმუნებულია იმაში, რომ ახალი არჩევნები არ მოხდება პარლამენტის ახალ საშემოდგომო სესიამდე.

მიკიბვ-მოკიბვით.

ინგლისის და საბჭოთა კავშირის კონფერენციის შესახებ მაკდონალდმა განაცხადა, რომ ის გააკეთებს პარლამენტში დაწვრილებით მოხსენებას, როდესაც საბჭოთა კავშირის და ინგლისის მოლაპარაკება მიაღწევს იმ სტადიას, რომელიც აუცილებელს გახდის მის გამოსვლას.

„საერთაშორისო ჩვეულებათა უხეშად დარღვევა“.

შეეხო რა მექსიკის მთავრობის მიერ მექსიკაში მყოფ ინგლისის აგენტის გამოსახლებას, მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა იხილავს ამ ფაქტს, როგორც „საერთაშორისო ჩვეულებების უხეშად დარღვევას“.

უპასუხისმგებლო განცხადება

ლონდონი. 16 ივნისი. წარმოთქმულ სიტყვაში **მუშათა მთავრობის მინისტრმა კლაინსმა გამკიცხა ლონდონის რკინისგზელთა გაფიცვა,** რომელიც გამოცხადდა პროფკავშირის ნებადაურთველათ. მან განაცხადა, რომ „ინგლისის სამრეწველო ცხოვრების მოშლა არის უპასუხისმგებლო ხალხის უმნიშვნელო უმცირესობის უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგი“-ო. უკანასკნელებში კლაინსი უეჭველია კომუნისტებს გულისხმობს.

მუშები მოტყუილებული არიან ბურჟუაზიის მიერ.

ლონდონი. 16 ივნისი. მემანქანეების პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა ბრომლეიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ **ყველა დაპირებები,** რომლებიც ბურჟუაზიას მისცა მუშებს, დარღვეულია. მუშებს არ მიეცა არა თუ ის, რაც მათ ეკუთვნის სამართლიანად, არამედ პირიქით—ცდილობენ გააუარესონ მათი მდგომარეობა. **ახლო მომავალში ჩვენ ჩავებმებით ახალ ბრძოლაში, თუ არ იქნება მიღებული ზომები ეხლანდელი ჩვენი კრიტიკული მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.**

კანონპროექტი გადასახლების შესახებ.

ლონდონი. 16 ივნისი. თემთა პალატაში მთავრობამ, რომელსაც მხარი დაუჭირეს ლიბერალებმა, უარჰყო ყველა შესწორებები, რომლებიც შეიტანა ლორდთა პალატამ კანონპროექტში გადასახლების შესახებ.

დაპატიმრებულ კომუნისტებმა შიმშილობა გამოაცხადეს

კომუნისტ ფრანკის სიმშილობა.

ბერლინი. 16 ივნისი. რეიხსტაგის დეპუტატებთან ერთად დაპატიმრებული გერმანელი კომუნისტი დოქტორი ფრანკი აქამდე განაგრძობს შიმშილობას. სიმშილობა გრძელდება 20 დღე.

რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიაში.

ბერლინი. 18 ივნისი. სამშაბათს შესდგა რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ უარყო კომუნისტების წინადადება საფრანგეთთან აშკარა მოლაპარაკების წარმოების შესახებ. შემდეგ გარჩეული იყო საკითხები ექსპერტთა მოხსენების, რეიხსბანკის და სამრეწველო ობლიგაციების შესახებ და აგრეთვე საორგანიზაციო კომისიებს შორის რკინის გზების შესახებ გამართულ მოლაპარაკების შედეგები.

შტრეზემანმა აცნობა კომისიას საიმპერიო მთავრობისა და ესენის კონფლიქტის ვითარება და აღნიშნა, რომ კასსელის მუნიციპალიტეტმა მიიღო მემარჯვენე პარტიების წინადადება ბურგომისტრ შეიდემანისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

ჩვენ და უცხოეთი

ინგლისი

ლონდონი. 16 ივნისი. ინგლისის **საზღვაო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა** ცნობა, რომ **ინგლისის ნავთსადგურებს ახლო მომავალში ეწვევა საბჭოთა გემი „ვოროვსკი“. დეპარტამენტი წინადადებას იძლევა აღმოჩენილ იქნეს საბჭოთა გემისათვის ჩვეულებრივი შეღავათი.**

იაპონია

ტოკიო. 16 ივნ. იაპონიის ელჩი პეკინში იოშიზავა მიემგზავრება ტოკიოში ახალ მთავრობისათვის დაწვრილებითი მოხსენების გასაკეთებლათ იაპონიისა და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წრეებში ეს ფაქტი მიაჩნიათ იმის საბუთად, რომ **კატოს კაბინეტს სურს საჩქაროთ მოაგვაროს იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი.**

დანია

ლონდონი. 16 ივნ. ლიტვინოვის მოლაპარაკება დანიის მთავრობის წარმომადგენელთან მოსკოვში მალე დამთავრდება. **მოლაპარაკების შემდეგ მოსალოდნელია დანიის მიერ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივი ცნობა იურიდიულათ.**

პრეზიდენტის არჩევის შემდეგ

ყვითელ ბანაკში ზეიმობენ.

პარიზი. 16 ივნ. დუმერგის არჩევას ოვაციებით შეხვდა ნაციონალური კრების როგორც მემარჯვენე, ისე მარცხენე ნაწილი. **კომუნისტები დაცინვით მიუთითებდენ რადიკალებს, რომ ოვაციებში მათ მხარს უჭერენ მემარჯვენეები. კომუნისტები გაიძახოდენ: „ამნისტია“. ცენტრის დეპუტატები მღეროდენ მარსელიეზას, სოციალისტები და კომუნისტები ინტერნაციონალს.**

დუმერგი და ერრიო.

პარიზი. 16 ივნ. დუმერგმა აცნობა ერრიოს, რომ მას სურს ინახულოს ის ვერსალის სასახლეში დაუყოვნებლივ, როგორც კი ნაციონალისტური კრების სხდომა დაიხურება,

ოფიციალური ცერემონია,

პარიზი. 16 ივნ. ნაციონალური კრების ვიცე-თავმჯდომარემ და მთავრობამ ოფიციალურად აცნობეს სენატის თავმჯდომარეს დუმერგს, რომ არჩეულია რესპუბლიკის პრეზიდენტათ. რწმუნების გადაცემის ცერემონიის შემდეგ, დუმერგმა დასტოვა ვერსალი და გაემგზავრა ელისეის სასახლეში, სადაც მიიღო მარსალი, რომელმაც გადასცა მას განცხადება მისი კაბინეტის გადადგომის შესახებ. შემდეგ დუმერგი ოფიციალური დარბაზობით იყო სენატის ვიცე-თავმჯდომარე მარტენთან და პალატის თავმჯდომარე პენლევესთან.

დუმერგის არჩევის გარშემო.

რომი. 16 ივნ. საფრანგეთის გაზეთები მეტათ კმაყოფილი არიან დუმერგის არჩევით; დუმერგი, მათი აზრით, კარგი რესპუბლიკანელი და კარგი ფრანგია.

დუმერგის განცხადება.

პარიზი, 16 ივნ. საპატივსაცემოთ გამართულ ბანკეტზე პრეზიდენტმა განაცხადა:

„ჩემი 30 წლის საზოგადოებრივი მოღვაწეობის განმავლობაში მე ვგრძნობდი სიცოცხლის იმ განუსაზღვრელ წყურვილს, რომელსაც იჩენდა ჩემი ქვეყანა. სიცოცხლის ეს წყურვილი—საფრანგეთის ბრწყინვალე მომავალის და გამარჯვების საწინდარია. ამიერიდან თქვენ ვეღარ მნახავთ მე პოლიტიკური მებრძოლის როლში. ჩემი ახალი თანამდებობა მიკარნახებს მე ვიდგე პარტიების გარეშე, მაგრამ ამავე დროს ვიცავდე რესპუბლიკის და დემოკრატიის ინტერესებს“.

პრესის აზრი

გერმანიის პრესა

ბერლინი. 16 ივნ. ანტანტის სამხედრო კომისიის ყოფილი თავმჯდომარის—გენერალ ნოლლეს ერიოს მთავრობის სამხედრო მინისტრად დანიშვნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის საზოგადოებრივ წრეებზე. გერმანიის მემარჯვენე პრესა ზეიმობს იმის გამო, რომ მიუხედავად ცენტრის პარტიის მტკიცებისა, **ერიოს პოლიტიკა, როგორც ჩანს, პუანკარეს პოლიტიკის გაგრძელება იქნება.**

„დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგ“ ლაპარაკობს უკვე არა ერიოს კაბინეტის, არამედ ნოლლეს კაბინეტის შესახებ. გაზეთი ფიქრობს, რომ ნოლლე ხელმძღვანელ როლს ითამაშებს საფრანგეთის ახალ მთავრობაში.

თვით „ბერლინერ ტაგებლატ“-იც შიშობს, რომ ნოლლე გერმანიის მიმართ გამოიყენებს პუანკარეს მეთოდებს.

ლონდონი. 16 ივნისი. კონსერვატორული პრესა აღნიშნავს, რომ მემარცხენე ბლოკი დამარცხდა პრეზიდენტის არჩევის დროს. კონსერვატორების გაზეთები მემარცხენე ბლოკს დაშლას უწინასწარმეტყველებენ. ლიბერალები მთავარ ყურადღებას აქცევენ ერრიოს კაბინეტის შედგენას.

ფაშისტების თარეში

იტალიელ 6 მინისტრის გადადგომა.

ბერლინი. 18 ივნისი. მატეოტის საქმემ აღელვა იტალიის საზოგადოების ფართო წრეები. იტალიის ექვსმა განსაკუთრებით გავლენიანმა მინისტრმა წარუდგინეს მუსოლინს მათი გადადგომის ბარათები. მუსოლინიმ მოიწვია მინისტრთა საბჭო. საბჭოს სხდომის შემდეგ პრემიერს ხანგრძლივი თათბირი ქონდა მეფესთან. შინაგან საქმეთა მინისტრათ დანიშნულია კოლონიების ეხლანდელი მინისტრი ფედერცონი.

გაზეთების ცნობით მკვლელობის მთავარი მონაწილენი საზღვარ-გარეთ გაიქცენ. გაიქცა აგრეთვე პატიმრობაში მყოფი „კორიერე იტალიანო“-ს გამომცემელი ფილიპელი.

აქამდე მატეოტის საქმის გამო იტალიის სხვადასხვა ქალაქში დაპატიმრებულია 80-დე კაცი.

ფილიპელი ხელმეორეთ დააპატიმრეს.

ბერლინი. 18 ივნისი. ფილიპელი ხელმეორეთ დააპატიმრეს გენუაში. ავტომობილის შოფერი დანებდა ხელისუფლების წარმომადგენლებს.

რომი. 18 ივნისი. მინისტრთა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე მუსოლინიმ დაწვრილებით დაასურათა მატეოტის მკვლელობით შექმნილი იტალიის შინაგან-პოლიტიკური მდგომარეობა. მუსოლინიმ განაცხადა, რომ გამომძიებელ ორგანოებს ხელთ აქვთ მკვლელობაში მთელი რიგ პირთა მონაწილეობის დამამტკიცებელი საბუთები. სწარმოებს მკვლელობის დანარჩენ პირდაპირი და არა პირდაპირ მონაწილეთა ენერგიული ძებნა.

მატეოტის გვამი.

რომი. 15 ივნისი. ფაშისტების მიერ მოკლული მატეოტის გვამი იპოვეს ქალაქ მასის ქუჩაზე. მატეოტის ხანჯლით რამოდენიმე ჭრილობა აქვს თავში. მუსოლინიმ განაცხადა, რომ თუ პალატა ნებას მისცემს, ის სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს მკვლელებს.

ინგლისის ჯაშუში

ინგლისის აგენტის გაძევება მექსიკიდან.

ნიუ-იორკი. 16 ივნისი. მექსიკის მთავრობამ გასცა განკარგულება ინგლისის რწმუნებულის გემმინსის გაძევების შესახებ მექსიკიდან. ოფიციალურ ცნობაში, რომელიც მექსიკის მთავრობამ გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ გემმინსის ინტრიგების წყალობით ინგლისსა და მექსიკას შორის დღემდი არ დამყარებულა ნორმალური ურთიერთობა. **გემმინსი ყალბ ცნობებს აწვდიდა თავის მთავრობას.**

მექსიკის მთავრობამ ორჯერ მოსთხოვა ინგლისს გემმინსის გაწვევა მაგრამ ეს მოთხოვნილება უყურადღებოთ იქნა დატოვებული.

გემმინსმა უარი სთქვა მექსიკის ტერიტორიის დატოვებაზე და თავი შეაფარა ინგლისის საელჩოს. მექსიკის მთავრობამ გასცა განკარგულება საელჩოს ტელეფონის მავთულების გაჭრის შესახებ და ხელს უშლის სურსათის მიწოდებას საელჩოსათვის, რომ აიძულოს გემმინსი დასტოვოს შენობა.

მაკდონალდის განცხადება.

ლონდონი. 18 ივნისი. მაკდონალდმა აცნობა ამერიკის ელჩს ლონდონში, თუ როგორი დამოკიდებულება შეიქმნა ინგლისსა და მექსიკას შორის. მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს ამერიკის მთავრობას გადასცეს ყოველგვარი ცნობები ამ კონფლიქტის შესახებ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს მზადებას შეთანხმებული მოქმედებისათვის.

სხვადასხვა ამბები

— **ავსტრია უფსკრულის პირას.** ეკონომიური კრიზისი ავსტრიაში მწვავდება. უკანასკნელი 6 კვირის განმავლობაში სიმშილობისა და გაკოტრების გამო თავი მოიკლა 500 კაცმა.

— **ინგლისი ჯარებს ადიდებს.** „ივნინგ სტანდარტ“-ის ცნობით ინგლისის მთავრობას სურს გააძლიეროს სათადარიგო ჯარი. პირველ რიგში ჯარის გადიდება გატარებული იქნება ლონდონის სამხედრო ოლქში.

— **ინგლისი ვალებს იხდის.** ინგლისმა ვალების ანგარიშში გაუგზავნა ამერიკის მთავრობას 86.625.000 დოლარი.

— **კონტრ-რევოლიუციის ბუდე.** ჟენევაში მოეწყო კომინტერნთან ბრძოლის საერთაშორისო ლიგა. ეს ფაშისტური ლიგა საერთაშორისო ყრილობის მოწვევას აპირებს პარიზში.

— **ფაშიზმი ნორვეგიაში.** ნორვეგიაში გაძლიერთა ფაშიზმი, რომელიც მიზნათ ისახავს კომუნიზმთან ბრძოლას.

— **გლეხების დევნა.** ბულგარეთის სამხედრო მინისტრმა მოითხოვა გლეხური პარტიის დაშლა.

— **გლეხების ლიდერის მოკვლა.** ბულგარეთის გლეხთა პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერი მოკლეს ბულგარეთის ფაშისტებმა.

— **რკინისგზელების შრომის ხელფასის გადიდება.** გერმანიის მთავრობამ მიაღწია შეთანხმებას რკინისგზელებთან. რკინისგზელების შრომის ხელფასი 10 პროცენტით გაადიდეს.

— **კონტრიბუციას იღებენ.** დანციგიდან მიღებული ცნობით ქალაქმა იარაღის საწყობის აფეთქების გამო უნდა გადაუხადოს პოლონეთს სამი მილიონი გულდენი.

პარტიული ცხოვრება

ქალთა შორის მუშაობა ძლიერდება

(გურიის კომიტეტის არსებულ ქალთა განყოფილების მუშაობის ანგარიშიდან)

ქალთა შორის მუშაობა გურიაში სულ რამოდენიმე წლის საქმეა; არც მენშევიკების და არც რეაქციის დროს არ ექცეოდა ქალთა შორის მუშაობას სერიოზული ყურადღება. გასაბჭოების შემდეგ კი ამ საკითხს განსაკუთრებულმა ყურადღება მიიპყრო. გამოყოფილ იქნა ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად ქალთა განყოფილება, რომლის მუშაობა პირველ ხანებში მოისუსტებდა, მაგრამ შემდეგ თანდათან გამოკეთდა.

დაარსებულია 12 პოლიტწრე, რომელშიაც სისტემატიურათ სწარმოებს მეცადინეობა, რომელმაც სასურველი ნაყოფი გამოიღო, რასაც ამტკიცებს მათი სერიოზული მსჯელობა როგორც პოლიტიკურ, ისე სარწმუნოებრივ საკითხებზე, რომელზედაც წინათ არ ჰქონდათ სრულებით არავითარი წარმოდგენა.

პროფ-სკოლებში სისტემატიური ხელმძღვანელობისათვის ადგილობრივ ქალთა განყ. სპეციალურად გამოყო კავშირის წევრები და მისცა მათ სახელმძღვანელო ინსტრუქციები. ამ რიგათ ხელმძღვანელობაც შესაფერია. არსებობს 5 პროფ-სკოლა, რომელშიაც ირიცხება დაახლოებით 377 წევრი.

უპარტიო ქალებში მუშაობა საინტერესო შედეგს იძლევა. ამის საუკეთესო მაგალითია ხიდისთავის რაიონში არსებულ ქალთა პოლიტწრე. ქალები დიდი ინტერესით ეკიდებიან წრეების მუშაობას. სისტემატიურათ ესწრებიან მეცადინეობას და ყოველგვარ საკითხის გარკვევაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

აქ ხელმძღვანელი საკმაოდ ენერგიული ქალია, მაგრამ სამწუხაროთ სხვა რაიონებში არ მოიპოება სათანადო ხელმძღვანელები, რაიც ნაწილობრივათ აფერხებს მუშაობის ინტენსივობას, მაგრამ ქალთა განყოფ. ამასაც აქცევდა ყურადღებას და მომავალში ასეთი მდგომარეობაც გამოსწორდება. საზოგადოებრივი აზრი ძლიერ ნაკლებ ყურადღებით ეპყრობა ქალთა შორის მუშაობას, რასაც მომავალში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თორემ ასეთი გულგრილობა მეტად უშლის ხელს მუშაობას.

კომკავშირელი.

ბორჩალოს სამაზრო პარტსკოლა

ამ დღეებში მოხდა გამოშვება ბორჩალოს მაზრის პირველ საფეხურის პარტსკოლისა. სამი თვის წინათ აქ მოვიდენ მაზრის სხვადასხვა კუთხიდან სრულიად უცოდინარნი, ბევრმა წერა-კითხვაც არ იცოდა,—პარტსკოლიდან კი ისინი ბრუნდებიან სახლში უკვე საკმაო ცოდნით აღჭურვილნი. დღეს მათ იციან მთავარი ჩვენი პარტიის და კოკავშირის ისტორიიდან.

მეცადინეობის დროს მათ ეტყობოდათ დიდი ხალისი და მისწრაფება სწავლისადმი. აი ახალი ძალა, ახალი ენერგია, რომელსაც შეუძლიან ბევრის გაკეთება. ხდება ამ ამხანაგების გადასროლა მაზრის სხვადასხვა კუთხეებში. ყველამ კარგათ იცის, რომ ბორჩალოს მრავალი სოფელი თათრული მოსახლეობით კულტურის მხრით გაცილებით დაბლა დგას, ვიდრე სხვა მაზრების სოფლები. მაგრამ ეს ახალი ძალა შეიტანს ამ სოფლებში ცვლილებას, შეიტანს განათლების შუქს, დაუახლოვებს მათ სხვა სოფლებს. ეს ახალი ძალა გამოაცოცხლებს უჯრედების მუშაობას და სოფლის აღმშენებლობას. მხოლოდ საჭიროა, რომ ეს ამხანაგები გაზეთებით და ლიტერატურით მტკიცეთ დაუკავშიროთ ცენტრს.

წელს ბორჩალოს მაზრაში პარტსკოლა იხურება, სამაგიეროთ კი ცენტრ. პარტსკოლაში ამ მაზრას დაეთმო 10 ადგილი, რაც ძალიან ცოტაა. ამავე დროს კი ამხ. კ. ო—ძე (გაზ. „კომუნისტი“ № 133) სწერს: „ის მაზრები, სადაც პარტსკოლები იხურება, არაფერს კარგავენ ამით, პირიქით იგებენ, რადგან კიდევ უფრო მეტი ადგილი ეთმობათ პარტსკოლაში, ვიდრე გასულ წელს“. მართალია შეიძლება ის რიცხვი, რომელიც დღეს დაეთმო მაზრას პარტსკოლაში გასულ წელზე უფრო დიდი იყოს, მაგრამ ბორჩალო კი მაინც ზარალობს. დღეს უშვებენ 40 მოწაფეს და მომავალ წელში კი ცენტრალური პარტსკოლა მოგვცემს მხოლოდ ათს.

ამიტომ აუცილებელია, რომ ეს რიცხვი გადიდდეს 20-მდე მაინც. ამ მხრივ ბორჩალოს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ჩამორჩენილ მაზრას. ბორჩალოს პარტსკოლის დაარსებაში და მუშაობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ამხ. ამხ. ცხაძეს, გაპალოვს, გაჯიევს და სხვებს, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან. მათმა ცდამ უნაყოფოთ არ ჩაიარა.

ვ. ტ.

ენერგიული მუშაკი

(წერილი ხაშურიდან)

ხაშურის ქალთა ორგანიზატორმა ამხ. ლ. ძინძიბაძემ გამოიჩინა დიდი ენერგია. პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით მან დაარსა ხაშურის რაიონში ქალთა 12 ორგანიზაცია სურამის, ქვიშხეთის, ღუდის, კაკალათხევის, შვლის-ყურის და სხვა სოფლებში. ხშირათ ნახულობს მათ და ხელს უწყობს ორგანიზაციების მუშაობის წინსვლას. ორგანიზატორის ხელმძღვანელობით მუშა და გლეხ ქალებმა გააშენეს ბოსტანი ს. ხცისში, რომლის მოსავალი მოხმარდება სოფელში კულტურულ მუშაობას. მშვენიერი სანახავია, როდესაც ბოსტანში 20—30 ქალი მუშაობს სიცილ-ყიჟინით.

მანვე გამოიწერა აბრეშუმის თესლი, რომლის გამოსაყალს კარგი პირი უჩანს, სოფ. ქვიშხეთში ყიფიანებისგან ჩამორთმეულ მამულში აგრეთვე შენდება ბოსტანი, ქ. სურამში იხსნება საჩაიე მთავარ ქუჩაზე, ტარდება აგრეთვე უპატრონო ბავშვთათვის დახმარების კამპანია და სხვა. ამხ. ლიუბა ძინძიბაძე ყველა ამ მუშაობაში დიდ ენერგიას და მხნეობას იჩენს. ვუსურვებთ გამარჯვებას მის მიერ დაწყებულ საქმეს და გამოვსთქვამთ იმედს, რომ პარტიული კომიტეტი მომავალშიაც დიდ დახმარებას გაუწევს ამ დარგში მუშაობის ხელმძღვანელს.

ბარბალე.

წაბლოვანას კომუჯრედის (ხაშურის რაიონი) მუშაობის [illegible] გამო

წაბლოვანას კომუჯრედი დაარსებულ იქნა 1921 წ. მაისში ირიცხებოდა 13 პ. წევრი. პარტგაწმენდის შემდეგ კომუჯრედში დარჩა 8 წევრი მათ შორის წერაკითხვა იცოდა 5, წერა-კითხვის უცოდინარი 3 საბჭოთა წევრებათ არიან 2, გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტში შედის პარტიის 1 წევრი და კომკავშირიდან 1 წევრი.

კოოპერატივის წევრებათ არიან ყველანი. ვინაიდან სურამის კოოპერატივი, რომლის წევრებზე ირიცხებიან, არის მოშორებული წაბლოვანაზე 6 ვერსით, ამიტომ კომუჯრედის წევრები გამოსთქვამენ სურვილს, რომ გაიხსნას კოოპერატიული სავაჭრო დუქანი ადგილობრივ—წაბლოვანაში.

კომუჯრედის მდივნად არის ამხ. სვიმონი პატარიძე, პარტიის წევრი 1921 წ., ყოფილი ჯარის-კაცი. კომუჯრედის სხდომები ხდება რეგულიარულად ე. ი. თვეში ორჯერ,—სხდომებზე სისტემატიურათ ესწრებიან ხაშურის რაიკომის მიერ-მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას ღებულობენ კომუჯრედის მუშაობაში. ხშირათ ეწყობა კომუჯრედის ღია სხდომები, როდესაც ესწრებიან უპარტიო ღარიბი გლეხები. როგორც დღემდის ჩატარებულ მუშაობიდან გამოირკვა წინათ კომუჯრედს დიდ ანგარიშს უწევდენ უპარტიო გლეხობა. რის დამამტკიცებელია ის ფაქტი, წაბლოვანას ახლო-მახლო სოფლების გლეხები ჩაწერილან კოოპერატივის წევრებათ 1923 წ, და შეუტანიათ (სურამის კოოპერატივში) საწევრო და საპაიო გადასახადის სახით 2 ფ. 20 გ. ხორბალი.

ამავე კომუჯრედის ინიციატივით მოუხდენიათ გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტის არჩევნები და ფონდის შესაქმნელად ჩაუტარებიათ თვითდაბეგვრა.

მაგრამ, როგორც ადგილობრივ გამოირკვა კომუჯრედის მუშაობას ხელს უშლის როგორც თვით სურამის კოოპერატივი, აგრეთვე სურამის სათემო გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტი.

საქმე შემდეგშია: გლეხები, რომლებიც არიან სურამის კოოპერატივის წევრებათ არავითარი უპირატესობა არ აქვთ არა წევრებთან შედარებით კოოპერატივს თუმცა მოაქვს ისეთი საქონელი, რომელიც ესაჭიროებათ კოოპერატივის წევრებს, მაგრამ ასეთი საქონელით თურმე სარგებლობენ კოოპერატივის არა წევრები და უმეტეს შემთხვევებში კერძო ვაჭრები.

ამ რამოდენიმე დღის წინათ სურამის კოოპერატივის გამგეობის მიერ შეძენილ იქნა ფართალი, რომლის ღირებულება გაცილებით იაფი იყო, ვინემ ის ღირს კერძო ვაჭრებთან, მაგრამ ამითი უსარგებლებიათ არა კოოპერატივის წევრებს როგორც ეს განაცხადეს თვით კომუჯრედის წევრებმა და აგრეთვე უპარტიო გლეხებმა. როდესაც წევრებს მიუმართავს კოოპერატივისათვის მაშინ საქონელი უკვე გაყიდული აღმოჩნდა, რასაც გამოუწვევია დიდი უკმაყოფილება.

ხაშურის რაიკომის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით და წაბლოვანას კომუჯრედის უშუალო მონაწილეობით ჩატარებულ იქნა კამპანია გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტის მონაწილეობაზე და აგრეთვე გაეცნო გლეხებს ინსტრუქცია, რომლის მიხედვით უნდა ემოქმედა კომიტეტს.

მაგრამ სურამის სათემო საურთიერთო დამხმარე კომიტეტის მიერ დარღვეულ იქნა სავალდებულო წესი და თანახმად ამავე კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულებისა მთელი 100 პროც. აკრეფილი ჭირნახულისა გადატანილი იქნა სურამში, ადგილობრივ არ დაუტოვებიათ არავითარი თანხა.

როდესაც ხსენებულ სოფელში ავათ გახდენ უღარიბესი გლეხები და ითხოვდენ დახმარებას კომუჯრედს მიუმართავს სურამის საურთიერთო დამხმარე კომიტეტისათვის, მაგრამ სათემო კომიტეტს სოფლის კომუჯრედის შუამდგომლობა დაუტოვებია უყურადღებოთ.

ასეთ მდგომარეობას დიდი უკმაყოფილება [illegible] გლეხობაში როგორც კოოპერატივის და გლეხკომის მიმართ, ისე წაბლოვანის კომუჯრედის [illegible] კოოპერატივების და [illegible] რომლებიც ნდობას უკარგავენ პარტიულ უჯრედებს და ხელს უშლიან მათ მუშაობას.

ანდრო ციხისუბნელი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(19 ივნისი)

1 ჩერვონეცი	— —	125 მილიარ.
გირ. სტერ ეფექტ.	—	8 მ. 38 კ.
„ „ ჩეკები	—	7 მ. 60 კ.
დოლარი ეფექტ.	—	1 მ. 94 კ.
„ „	—	1 მ. 78 კ.
ოსმ. ქალ. ლირა ეფ.	—	1 მ. —
იტალ. ლირა 100 ც.		8 მ. —
ფრანკი ფრანგ. 100 ც.		9 მ. 50 კ.
სატრან. სერტიფიკატ. (5 მან.)	—	5 მ.

თბილისის საქონლის და საფონდო ბირჟა.

საქონლის მიწოდება

ასანთი „სამოლიოტ“, ახალი ტომრები (სელის), სახურავი რკინა 2 ხარ. შაქარი რაფ. და ფხვნილი, „ხლებოპროდუქტ“-ის ფქვილი, „მილომას“-ის პროდუქცია, მზესუმზირის ზეთი (1 ვაგონი), პორტლანდის ცემენტი, სალომასი, შაბიაბანი, კარბიტი, საპონი როსტოვის სახელ. ქარხნებისა.

მოთხოვნილებაა:

„მერინის“-ის მატყლი, პურის ფქვილი „რაზმოლ“, ნარმა, მიტკალი, ნედლი აბრეშუმი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, რუს. მანუფაქტურა, სალომასი, საპონი როსტოვის და კრასნოდარის ქარხნებისა.

საზ. „ჩემო“-ში

საზ. „ჩემო“-ს წევრთა წლიურ საერთო კრებას, რომელიც მოწვეული იყო 15 ივნისისათვის, მეტად ცოტა წევრი დაესწრო. კრების თავმჯდომარედ არჩეული იყო ამხ. გ. ვაშაძე ვინაიდან საზოგადოების მოქმედების სხვადასხვა მასალების დამზადება ჯერ სავსებით დამთავრებული არ არის, კრება გადადებულ იქნა 1 ივლისისათვის.

ა.-კავ. ფინანსთა სახ. კომისარიატში

ადგილობრივ ფინანსთა დროებითი დებულება.

ადგილობრივ ფინანსთა დროებითი დებულებაში, რომელიც მიღებულია საკავშირო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, შეტანილია ზოგიერთი ცვლილებები და დამატებანი,—ადგილობრივი (ამიერ-კავკასიის) პირობების მიხედვით. ა. კ. ფინანსთა კომისარიატში გადასინჯული და გადაკეთებული დებულება ამ ცოტა ხანში წარედგინება დასადასტურებლად ა. კ. საკანონმდებლო დაწესებულებებში.

დებულებაში შეტანილი ცვლილებანი გამოწვეულია უმთავრესად ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ პირობებით — საადმინისტრაციო-ტერიტორიალური სტრუქტურით. მაშასადამე, უკანასკნელების უფლებები და მოვალეობანი უნდა განაწილებულ იქნეს ამიერ-კავკასიაში არსებულ სხვადასხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის. მაგრამ პრინციპიალური განსხვავება ორ დებულებათა შორის არ არსებობს.

განზრახულია ამიერ-კავკასიის ადგილობრივ ფინანსთა დებულებაში შემდეგი ცვლილებების შეტანა: გაძლიერებულია სახ. გადასახადებიდან გამორიცხვის თანხები ადგილობრივ საჭიროებისათვის; ამის და მიხედვით, ადგილებს ევალებათ მთელი რიგი ახალი ხარჯების გაწევა, რომლებიც აქამდინ კმაყოფილდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგალ. მილიციის სრული დაკმაყოფილება (სადაც შედის ხელფასის მიცემაც), მასწავლებლების პედაგოგიურ შემადგენლობის, სახალხო სასამართლოების, გამომძიებლების, შრომის ბირჟების, ინვალიდთა სახლების, კლუბის და სხვ. შენახვა-დაკმაყოფილება.

ახალი დებულება იმით განირჩევა აქამდინ არსებულ წესებიდან, რომ ეხლა შემოღებულია ადგილობრივი ბიუჯეტის დიფერენციაცია, ე. ი. აქამდე ადგ. ბიუჯეტები შესდგებოდა მაზრების მასშტაბით, ხოლო ეხლა (1 ოქტომბრიდან) შესდგება ცალკე ბიუჯეტები—მაზრის, მაზრის ცენტრის, სამაზრო ქალაქების და რაიონების. შემდეგ, ახალი დებულების ძალით ის თანხები, რომლებიც გამორიცხება სახ. სარეწაო გადასახადიდან,—შეადგენენ რესპუბლიკანურ ფონდს, საიდანაც მიეცემა თანხები მაზრების საჭიროებათა მიხედვით; აქამდინ კი ეს თანხები ნაწილდებოდა ტერიტორიალურ თვალსაზრისით.

ახალი გადასახადი.

ახლო მომავალში ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე შემოღებული იქნება საგანგებო გადასახადი სასტუმროების, რესტორანების, კაფეების და სხვა ამგვარ წარმოებების მიერ გაშვებულ ანგარიშებზე.

საქართველოს კოოპერაციის ინსტრუქტორთა ყრილობა

ცეკავშირის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მუშაობა და სოფლის კოოპერატივების რეორგანიზაცია

ამ თემაზე ყრილობამ მოისმინა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **ალ. ერქომაიშვილის** მოხსენება.

მომხსენებელი ყრილობის მიერ უკვე მოსმენილ მოხსენებებს ადგილებიდან უკავშირებს საკითხს სოფლის კოოპერატივების რეორგანიზაციის შესახებ და საერთოდ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო მუშაობას. ადგილობრივ მომუშავე ინსტრუქტორები საქმიანობენ, მაგრამ პერიფერიული კოოპერაციის მდგომარეობა მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. ამის მიზეზია ის, რომ ცენტრიდან არ იყო გაწეული სათანადო ხელმძღვანელობა. ინსტრუქტორი არ უნდა გახდეს კოოპერატივების მოანგარიშეთ, მათი აწეწილი ანგარიშთ—წარმოების მომწესრიგებელი. თუ ინსტრუქტორი ამ საქმეში ჩაიფლა, იგი ჰკარგავს თავის პირდაპირი დანიშნულების შესრულების შესაძლებლობას. კოოპერატივებში ანგარიშთ წარმოების მოსაგვარებლად სხვა ზომები უნდა იქნეს მიღებული. ამ საქმისთვის ინსტრუქტორი ვერ იქნება მოცდენილი თავის პირდაპირ დანიშნულებას. ეს არ ნიშნავს, რომ ინსტრუქტორს არ უნდა ჰქონდეს ანგარიშთ-წარმოების ცოდნა, პირიქით. კოოპერატივებმა უნდა გამონახონ თავისთვის მოანგარიშენი. ამაში ცეკავშირს შეუძლია მხოლოდ დახმარების აღმოჩენა: ცენტრში ან ადგილობრივ მოანგარიშეთა მოსამზადებლათ კურსების მოწყობით. როგორი უნდა იყოს კოოპერაციის ინსტრუქტორი და რაში უნდა გამოიხატოს მისი მუშაობა? ინსტრუქტორის უნდა ესმოდეს ეკონომიური საკითხები. მას კარგათ უნდა ესმოდეს თუ როგორ ნაწილდება სახალხო სიმდიდრე კაპიტალისტურ მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის დროს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს ინსტრუქტორი თავისი რაიონის ეკონომიურ პირობებში გარკვევას და მისთვის კოოპერატიული მშენებლობის გზის შეფარდებას. ამ მშენებლობის დროს არ უნდა იქნეს დაქუცმაცებული ეკონომიურათ მთლიანი რაიონი. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივ მასის სურვილსაც გაეწევა ამ საკითხში ანგარიში, მაგრამ წვრილი და უძლური კოოპერატივების დარსებიდან ინსტრუქტორმა ყოველ-შემთხვევაში თავი უნდა შეიკავოს. არაფრით არ გამართლდება ზუგდიდის რაიონში მომუშავე ინსტრუქტორის საქციელი, რომელსაც ერთი კოოპერატივის ანგარიშების ცნობაში მოყვანაზე სამი კვირა დაუხარჯავს. ეს ენერგიის უმიზნო დახარჯვაა. ასეთი კოოპერატივი უკეთესია სრულებით მიიხუროს. ინსტრუქტორი სავსებით უნდა ერკვეოდეს აგრეთვე სხვა არსებულ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან და გლეხთა კომიტეტებთან ურთიერთობის საკითხში.

ინსტრუქტორების ვალია გააღვიძონ ადგილობრივ მომუშავე კოოპერატორებში ცენტრის წინაშე ვალდებულებათა თავის დროზე შესრულების შეგნება. ახალი კოოპერატივის დაარსება ამა თუ იმ პუნქტში უნდა მოხდეს მას შემდეგ რა რომ ამ პუნქტის გლეხობა ნებაყოფლობის საფუძველზე განაცხადებს ასეთის შექმნის სურვილს და საჭირო საპაიო თანხასაც გამოიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ახალი ორგანიზაცია მძიმე ტვირთად დააწვება უკვე არსებულ კოოპერატიული აპარატის სხეულს. თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, ახალი ორგანიზაციების შექმნისაგან თავი უნდა შევიკავოთ; სჯობს ისევ უკვე არსებული უჯრედები გავამაგროთ და გავაძლიეროთ. ინსტრუქტორებმა უნდა შექმნან ადგილობრივ დასაყრდნობი წრეები ღარიბ მშრომელებისაგან. ამათში უნდა აწარმოვოს ინსტრუქტორმა საპროპაგანდო კოოპერიტიული მუშაობა და მათი საშუალებით გაავრცელონ კოოპერატიული იდეები სოფლად. ასეთი წრეების შექმნაში ინსტრუქტორებმა უნდა ექნეთ კონტაქტი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან. უკანასკნელნი დიდ დახმარებას აღმოუჩენენ ინსტრუქტორებს ამ მუშაობაში. რაც შეეხება სოფლის კოოპერატივების რეორგანიზაციას, ეს საკითხი შეიცავს ნებაყოფლობით წევრობაზე გადასვლას და საპაიო თანხების აკრეფას. კოოპერატივებმა ამ საპაიო გადასახადებით უნდა შექმნან თავისი საკუთარი საბრუნავი თანხები. წევრებისათვის საქონლის მიცემაში უნდა შემოღებულ იქნეს ერთგვარი უპირატესობები და შეღავათები. ეს გამოიწვევს კოოპერატივისკენ ლტოლვას არა წევრებში. მეტათ მწვავეთ სდგას კოოპერატივის ბიუჯეტის საკითხი. ეს უნდა მოგვარდეს: კოოპერატივის ხარჯები მის ზრუნვებს უნდა შეეფარდოს.

ამხ. ერქომაიშვილის მოხსენების შემდეგ მოხდა მცირე კამათი, რომლის შემდეგაც ყრილობამ განიხილა და მიიღო ინსტრუქცია კოოპერაციის ინსტრუქტორთათვის სახელმძღვანელოთ.

პატარა ფელეტონი

ლენინბურგი პოლონეთში

ზემო სილეზიაში (პოლონეთში) ქ. ზაბრჟეს, რომელსაც იმპერიალისტური ომის დროს გინდენბურგი უწოდეს, მუშებმა დაადგინეს დღეს, ძველი სახელების ნაცვლად, დაარქვან ლენინბურგი.

(დეპეშებიდან)

ცვალებადობა ამა ქვეყნად
არის ბევრგვარი:
ვინც გუშინ ჰქუხდა, დღეს ასვია
მას გულზე ჯვარი!
ძველ გმირთ სახელნი, ვით ფოთლები
ხის, ძირს სცვივიან,
ვით მაგალითად: ბისმარკ, გრეი,
ასკვიტ, ვივიან...
ან როგორც ჟოფრი, მაკენზენი,
თუ ვინდენბურგი...
ეს მეტი ბარგი ცხოვრებისა,
უქმი და ურგი!
მათ ადგილებზე დღეს ცხოვრება
იმათ აყენებს,
ვინც დიად შრომის მეუფების
ტაძარს აშენებს.
მათი გვარები: მარქს, ენგელსი,
ლენინი, ტროცკი
და ოქტომბერი, როგორც ძველი
ცხოვრების ცოცხი!

და თვით იქ, სადაც კვლავ მეფობენ
დამქაშნი ძველის,
სადაც „ახალს მზეს“, „ახალს ცისკარს“
ჯერ არც ვინ ელის.
თურმე იქ ეს „მზე“, ეს „ცისკარი“
უკვე ანათებს
და შიშის ზარს სცემს „შორი სხივით“
ქვეყნის ჯალათებს!..
ამის მაგალითს დღეს იძლევა
ქალაქ ზაბრჟე,
ვინც გინდენბურგის „კასკას“ ურცხვად
სცვლის რუსულ „ძაბრზე“,
აი, ლენინელ წითელ მხედრებს
რომ თავსა ჰხურავს,
რაც ჩვენს მტრებს წელში შიშის
ქარს სცემს,
და ოფლად სწურავს!

ონისიმე.

საძოვრების საკითხის მოგვარება

ზ. ს. ს. კ—ის კომისიამ უკვე დაამთავრა საძოვრის საკითხის მოსაგვარებლად დაწყებული მუშაობა. კომისიამ რამოდენიმე ხანი დაჰყო სიღნაღის მაზრაში, სადაც მოწვეულ იქნა მეცხვარეთა ყრილობა, რომელმაც დაადგინა მთავრობისთვის ეთხოვა ალაზანის ხეობაზე მდ. ალაზნის გასწვრივ გზის გაყვანა სოფელ შაბლამდე—საზაფხულო საძოვრებზე ჯოგის გასარეკად. ეს თხოვნა კომისიის მიერ დაკმაყოფილებული იქნა. დადგენილების თანახმად მეორე გზა გაყვანილი უნდა იქნეს შირაქის ველზე ალაზნის რაიონამდე (ახალ ქალაქის მაზრაში ოსმალურ საზღვართან).

კომისიამ გადასწყვიტა მოახდინოს კვლევა-ძიება გზის გასაყვანად და ამ მიმართულებით გასაყვან გზის პროექტი აუცილებლად განახორციელოს. კომისიამ გადასწყვიტა აგრეთვე გზების გასაყვანი ხარჯები დააკისროს მიწ. მოქ. სახ. კომის საძოვრების განყოფილებას.

განზრახული სამუშაო შესრულებული იქნება მიწის რეფორმის და მიწათ-მოწყობის სამუშაოსთან პარალელურად.

ჯოგის გარეკვა ძნელი ხდება იმ მიზეზის გამო, რომ შირაქის ველიდან მიმავალი გზა გადის სოფლებზე. მთავარი ჯოგის გასარეკი გზა გაყვანილი იქნება მდინარე ალაზნის გასწვრივ მდებარე ველზე, რომლის ახლო გაშენებულია მეცხვარეთა სოფლები 2 მილიონი ცხვრით. ეს რაიონი იძლევა დიდ ძალ მატყლს, ყველსა და ერბოს.

კომისიამ დაადგინა გზის გაყვანა 130 ვერსის მანძილზე შირაქიდან სოფელ შულვამდე.

გზას ექნება სიღნაღის მაზრაში 40 საჟ. სიგანე, ხოლო თელავ-ახალქალაქის მაზრებში—25 საჟენი. 10 ადგილზე ამ მიმართულებით მოეწყობა დასასვენებელი პუნქტები ერთი მეორესგან 10—15 ვერსის დაშორებით წყაროების ახლო.

დადგენილია გაყვანილ იქნეს ახალი გზა შირაქის ველიდან—შირაქიდან სოფ. ლაკმემდე. გზას ექნება 40 საჟენი სიგანე, სოფ. ბარგაქისიდან თრიალეთზე გავლით ცხვრის ფარა მოეფინება საზაფხულო საძოვრებს. ახალ-ქალაქის მიმართულებით გზას ბადგანოვის რაიონიდან ექნება 305 ვერსი სიგრძე, ამ ხაზზე მოეწყობა 14 დასასვენებელი პუნქტი 40—50 საჟ. მოედნით.

პროფკავშირებში

ხე-მომუშავეთა კავშირში

საორგანიზაციო მუშაობა

წლის პირველ მეოთხედში კავშირის ცენტრ. გამგეობამ გააცხოველა საორგანიზაციო მუშაობა, განსაკუთრებით პროვინციაში ხის დამამუშავებელ მრეწველობის 600 მუშა, რომელთაც უკანასკნელ დრომდე არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონიათ კავშირთან, გაერთიანებულ იქნენ სამაზრო განყოფილებებში და ორგანიზაციულად დაუკავშირდენ ცენტ. გამგეობას. ცენტ. გამგეობამ გაატარა სავსებით ინდივიდუალური წევრობა და დაამყარა მჭიდრო კავშირი ქვედა საკავშირო უჯრედებთან. ცენტ. გამგეობა ამჟამად აწარმოებს კავშირის პროვინციალურ განყოფილებათა დათვალიერებას.

ურთიერთ დამხმარე კასა

კავშირის წევრთა 80 პროცენტი უკვე ითვლება ურთიერთ დამხმარე კასის წევრად. კასის ბიურო აწარმოებს ნაყოფიერ მუშაობას, რაც მეტად აცხოველებს ორგანიზაციას და ნდობას ქმნის წევრებში.

სატარიფო-ეკონომიური მუშაობა.

ხელფასის მტკიცე ვალიუტაზე გადაყვანა უმტკივნეულოდ მოხდა. ამ საანგარიშო პერიოდში ფულის რეფორმის გამო, გადათვალიერებულ იქნა კოლლექტ. ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ყველა კერძო წარმოებაში დაწესებულ იქნა 1:8—ან შეფარდება, ხოლო სახელმწიფო წარმოებებში ალაგ დატოვებულ იქნა ძველი სატარიფო შეფარდება იმ პირობით, რომ მომავალში გადიდდეს 1:8 სთან შეფარდებამდე. კოლექტიური ხელშეკრულების განხილვა ხდებოდა მუშათა მონაწილეობით საერთო კრებებზე.

კავშირის მონაწილეობა საწარმოო მუშაობაში.

გასულ წელთან შედარებით კავშირი ამ ჟამად უფრო ცხოველ მონაწილეობას იღებს საწარმოო მუშაობაში, რასაც კარგი შედეგები მოჰყვა. ადმინისტრაციასთან დამყარებულია ნორმალური ურთიერთობა, ხოლო საწარმოო ხასიათის საკითხები გადატანილ იქნა საკავშირო მასაში. ქარხნის გამგეები რეგულიარულად აკეთებენ საანგარიშო მოხსენებებს, რომელთაც წევრთა უმრავლესობა დიდი ყურადღებით ეკიდება.

ამ ჟამად ხის დამამუშავებელი მრეწველობის წარმოებანი მომგებიანი დაწესებულებებია, შრომის ინტენსიურობამ და ნაყოფიერებამ მიაღწია მშვიდობიანი დროის 90 პროც.

კულტურული მუშაობა.

კულტურულ მუშაობის დარგში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშაობის გაჩაღებას ცალკე წარმოებებში, სადაც ყველგან გახსნილია ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, გაზეთები გამოწერილი აქვთ მუშების 50 პროც. კავშირს აქვს სამი წრე: პროფესიონალური, დრამატიული და მუსიკალური წრეები.

ბანდიტიზმის აღმოფხვრა

ისკანდერ კასუმოვის ბანდა 12 კაცისაგან შემდგარი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედობდა ბორჩალოს მაზრაში და მის მოსაზღვრე რაიონებში, ამჟამად შერიგებულია ადგილობრივი აღმასკომის და პოლიტბიუროს მიერ საქართველოს საგანგებო კომისიის თანხმობით.

იმ პირებს შორის, რომლებიც თავის ნებით გამოცხადდენ და ითხოვეს ამნისტია, შერიგებული და ამნისტიაქმნილი არიან:

1) სამედ-კასუმოვი, 2) ნური-აბბას-ოღლი, 3) რუსტან-კურბან-ოღლი, 4) აბბას-სოიუნ-ოღლი, 5) სულეიმანი-სადახლოდან, 6) ორუჯ-ახვერდი-ოღლი, 7) ისა-ალი-ოღლი, 8) მამედ-ახვერდი-ოღლი, 9) ალგაზახ-მუსა-ოღლი, 10) ქიარიმ-ბეკ-ედიგაროვ და 11) დარდაგანი ილიკო.

იტყობინება რა ამის შესახებ, საქართველოს საგანგებო კომისია აფრთხილებს ყველა იმ ბანდიტებს, რომლებიც იმალებიან და ძირს უთხრიან საბჭოთა ხელისუფლებას, რომ მათ მიმართ საგანგებო კომისია განაგრძობს დაუნდობელ ბრძოლას, როგორც მუშების და გლეხების უბოროტესი მტრების წინააღმდეგ.

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია.

საბჭოთა სასამართლოში

აღმოს. საქ. სასამართლოს სესია დუშეთში

შურისძიება მოწამვლით.

სასამართლომ სახალხო მსაჯულთა ახალ შემადგენლობით (ჯარიაშვილი და შუშიაშვილი) გაასამართლა სოფელ მჭადისჯვარის მცხოვრებლები კარაპეტ ბაჩუნიანცი და მიხა მიშელაშვილი, რომელთაც ბრალათ ედება ს. ს. კ-ის 13, 16 და 146 მუხლებში გათვალისწინებული ბოროტმოქმედებანი.

ამავე სოფლის მცხოვრებელთან,—ბაგრატ ბესოშვილთან მოჯამაგირეთ მსახურობდა კარაპეტ ბაჩუნიანცი. დამქირავებელს ქირათ უნდა მიეცა მოჯამაგირესათვის წელიწადში 8 კოდი ხორბალი და ერთი ხელი ტანსაცმელი. გარდა ამისა ბესოშვილს უნდა შეესწავლებინა მოჯამაგირესათვის დურგლის ხელობა. ბაჩუნიანცმა იმსახურა ერთი წელიწადი და შემდეგ სხვასთან გადავიდა. ნამსახურისათვის მოჯამაგირეს რამდენიმე ცემა-ტყეპის გარდა არაფერი მიუღია: არც ტანთსაცმელი, არც ხორბალი და არც დურგლის ხელობა. გაჯავრებულმა კარაპეტმა გამოართვა ერთ თავის ნაცნობს მიხა მიშელაშვილს სტრიხნინის ორი კაპსული (ვითომდა მგლის მოსაკლავათ) და ყოფილ „ბატონის“ არაყში ჩაუგდო. ერთხელ, არაყის დალევის შემდეგ, ბესოშვილს აუვარდა პირიდან ღებინება, ტკივილები და სხვა. ამბულატორიის წყალობით ბესოშვილი სიკვდილს გადაურჩა.

სასამართლომ ბაჩუნიანცს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ბრალდებულის სილარიბე, მოწამვლის უმნიშვნელო ფაქტიური შედეგები და სხვა, შეუმცირა სასჯელი ერთ წელიწად-ნახევრამდე.

ლოთი—მკვლელი.

ერთ სოფელში ვინმე გიორგი ოქროპირიძესთან ა. წ. 14 იანვარს ქეიფობდა რამოდენიმე კაცი. ქეიფის ერთმა დარდიმანდმა მონაწილემ ნიკა ოქროპირიძემ მოქეიფენი თავის სახლში გადმოიპატიჟა. ქეიფი გაგრძელდა. გახალისებულ გიორგი ოქროპირიძეს უეცრათ მოესურვა თავისი მეგობრის მიხა ჯარიაშვილის მოყვანა. ეს უკანასკნელი განთქმული მესტვირე ყოფილა. მასპინძელმა კი უარი განაცხადა ჯარიაშვილის მიღებაზე. ამ ლაპარაკის დროს კარი გაიღო და ოთახში გაჩნდა კამათის საგანი—მესტვირე ჯარიაშვილი. მასპინძელი ნიკა ოქროპირიძე წინადადებას აძლევს კარში გავიდეს. შეურაცყოფილი ჯარიაშვილი მიდის სადღაც, მოაქვს თოფი და ესვრის ოქროპირიძის სახლის კარს, სადაც მისი ანგარიშით უნდა მდგარიყო ნიკა ოქროპირიძე. ნიკას მაგიერ ტყვია ხვდება უკანასკნელის დედას, მართას, რომელიც იქვე კვდება.

სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა ორი წლით სასტიკი იზოლიაციით (148 მუხლი), გ. ოქროპირიძეს კი აყალ-მაყალის ატეხისათვის—თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

მეცნიერება-ტექნიკა

მზის სითბოს შემკრები მანქანები.

მეცნიერებმა უკვე სისწორით გამოიანგარიშეს, თუ რამდენი ხნის განმავლობაში ეყოფა კაცობრიობას ის სათბობი მასალა, რაც მთელს დედამიწაზე მოიპოვება. გამოანგარიშებულია, რომ ნახშირი კაცობრიობას ეყოფა 1000 წლის განმავლობაში, ნავთის მარაგი დედამიწაზე 900 მილიარდი ტონას (5.580.000.000.000 ფუთს) უდრის. დედამიწის მცხოვრებთა რაოდენობა კი—4 მილიარდს. ამრიგათ, თითეულ მცხოვრებს ამ მარიგიდან ხვდება რაღაც 1400 ფ. ნავთი. მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ 80—85 წლის შემდეგ ნავთის ყველა წყაროები დედამიწაზე ამოიწურება. ამერიკას, მაგალითად საკუთარი ნავთი (ნავთი, რომელიც მის საკუთარ ტერიტორიაზეა) ეყოფა მხოლოდ 15 წელიწადს.

რაც შეეხება წყლის ენერგიას, ის რომ უკვე ახლა იქნეს მთლიანად გამოყენებული, რაც არც ისე ადვილი საქმეა და ძლიერ დიდ ხარჯებს მოითხოვს, ისიც მხოლოდ მსოფლიოში სათბობი მარაგის მხოლოდ 27 პროც. მოგვცემდა.

ამიტომ მეცნიერები ამჟამად დაინტერესებული არიან საკითხით, ხომ არ შეიძლება ენერგიის მუდმივი, დაუშრეტელი წყაროს გამონახვაო. ეს მუშაობა ორი მიმართულებით სწარმოებს. მეცნიერების ერთი ჯგუფი ცდილობს გამოიყენოს ის ენერგია რომელსაც ატომი შეიცავს. ატომი კი აუარებელ ენერგიას შეიცავს (ატომები სხეულის მატერიალური ნაწილაკებია). ამ მხრივ დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მეცნიერებმა დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხეს ატომის დაშლა და ასეთ პირობებში მისი ენერგიის გამოყენებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. მხოლოდ 1920 წ. მოახერხა ინგლისელმა მეცნიერმა როზერფორდმა ატომის დაშლა. მაგრამ ატომის ენერგიის გამოყენებაზე ჯერჯერობით ლაპარაკი ნაადრევია.

მეორე მხრით სწარმოებს მუშაობა მზის ენერგიის გამოსაყენებლათ. ასეთი ცდები დიდი ხანია, რაც დაიწყო. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ერთ კვადრატიულ კილომეტრზე 8 საათის განმავლობაში მზე იძლევა 1000 ცხენის ძალის ენერგიას.

საჭიროა მხოლოდ ამ ენერგიის შეკრება.

უკვე ახლა არსებობს მრავალი ასეთი მზის სხივების შემკრები მანქანა.

ერთი ასეთი მანქანა არის ნაჩვენები ჩვენს სურათზე.



მზის სითბოს შემკრები მანქანა.

ეს მანქანა დაამზადა ვინმე ერიკსონმა კალიფორნიაში, ქ. ლოს-ანჟელოსში.

ის წარმოადგენს ჩაზნექილ სარკეს, რომლის დიამეტრი უდრის ათ მეტრს, სიღრმე—5 მეტრს. ჩაზნექილი სარკე შესდგება 1788 პატარა ბრტყელი სარკეებიდან, რომლებიც მზის სხივებს ისვრიან ორთქლის ქვაბისაკენ. ქვაბს აქვს გრძელი ცილინდრისებური ფორმა იტევს 670 ლიტრ. (56 ვედრო) წყალს. სარკე და ქვაბი მიმაგრებული არიან ღერძზე, რომელიც ისე მოძრაობს, რომ სარკე მთელი დღის განმავლობაში მზისაკენ არის მიშვერილი. ქვაბი შეერთებულია ცხრა ცხენის ძალის მქონე მანქანასთან. ერთის საათის შემდეგ მზის ამოსვლიდან წყალი ქვაბში თბება, ორთქლი მილიდან გადადის მამოძრავებელში, რომელიც ამოძრავებს მინდვრების მოსარწყავ მანქანებს.

ამ მანქანის დამზადება 9000 ოქროს მანეთი დაჯდა.

ქრონიკა

მისალმება ცეკას.

საქართველოს კომპარტიის ცეკამ სამხრეთ-ოსეთიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: სამხრეთ-ოსეთის პარტიული სკოლის კურსანტები, რომლებმაც დაამთავრეს კურსი და მიემგზავრებიან სოფლებში, ფიცს სდებენ კომუნისტური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რომ ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ განახორციელონ მე-13 ყრილობის მიერ ჩვენს წინაშე დასმული ძირითადი ამოცანები. სამხრეთ-ოსეთის სკოლა მოუწოდებს აგრეთვე სხვა პარტსკოლების კურსანტებსაც გააძლიერონ მუშაობა სოფლათ, დაეხმარონ სოფელს ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების საქმეში.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს ჩვენი პარტიის შეუდრეკელ მუშაობას სოფლათ!

სამხრეთ-ოსეთის პარტსკოლა.

■ **ამხ. ლენინის ძეგლი ზაქათალაში.** ზაქათალაში, თავისუფლების მოედანზე აღმართეს ლენინის დიდი ძეგლი. ძეგლის პირდაპირ გაკეთებულია ტრიბუნა.

■ **სახალხო სახლი აბაშაში.** აბაშაში სახალხო სახლის დასამთავრებლათ გადასდო 1000 მან.

■ **წიგნების გავრცელება სოფლათ** გლეხთა კომიტეტების საუწყებათაშორისო თათბირმა შეადგინა. სოფლად წიგნების გავრცელების გეგმის გამოსამუშავებლად, კომისია პ. საყვარელიძის, ნინო ნაკაშიძის და კ. ხომერიკის შემადგენლობით.

■ **მოსავალი გორის მაზრაში.** მიწად-მოქ. კომისარიატის ცნობით, ზემო ქართლში დიდი გვალვების გამო, წელს პურის მოსავალი მცირე იქნება. განსაკუთრებით დაზარალებულია ტირიფონის ველი და ლიახვის ხეობა.

■ **ფიზკულტურის კურსები.** ფიზიკურ კულტურის უმაღ. საბჭომ გადასწყვიტა დაარსოს ორი თვე ნახევრიანი კურსები ფიზკულტურის ინსტრუქტორთათვის.

■ **გზების შესაკეთებლათ.** ა|კ. ფინანსთა კომისარიატი ამ ჟამად იმუშავებს კანონ-პროექტს შარაგზების შესაკეთებლად ფონდების დაარსების შესახებ.

■ **ამხ. ლენინის სახელობის საბავშვო სახლი.** ამხ. ლენინის სახელობის ქარხანასთან არსებული საბავშვო სახლის ბავშვები გადაყვანილია კოჯორში.

■ **სიმინდის რჩილის გაჩენა სამეგრელოში.** სამეგრელოში გაჩნდა სიმინდის რჩილი, რომელიც მოსავალს ზიანს აყენებს.

■ **მოსავალი დუშეთის მაზრაში.** მიწად-მოქ. კომისარიატის ცნობით, დუშეთის მაზრაში გვალვები გრძელდება. მოსავალს ცუდი პირი უჩანს.

■ **ეკლესიის შენობათა აღრიცხვა.** ქ. აღმასკომმა უკვე დაიწყო აღრიცხვა იმ ეკლესიების შენობების, რომლიც ქალაქის აღმასკომის საკუთრებას შეადგენენ.

■ **არხების გაყვანა.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა: გარეუბნებში არხების გაყვანის გასაადვილებლად არხები ქუჩებში გაიყვანოს აღმასკომის ხარჯზე, ხოლო სახლებში და ეზოებში გაყვანა დააკისროს თვით სახლის მეპატრონეებს.

■ **გადასახადი წყალზე.** ქ. აღმასკომის დადგენილების თანახმად, წყლის ფასის გადამხდელთა რაოდენობის გამორკვევა და ანგარიშის გაწევა დაევალა საბინაო კომისიას, 3 კაცის შემადგენლობით.

■ **მგზავრობა ჰაეროპლანით.** ახლო ხანში ა. კ. საავიაციო საზოგადოება აწყობს ჰაეროპლანით გადაფრენას გარეშე პირთათვის ლანჩხუთში, სამტრედიაში და ცხინვალში.

■ **ფართლეულობა გლეხებისათვის.** ბათომში არსებულ გლეხკომმა მაზრის გლეხებისათვის იაფ-ფასებში დასარიგებლათ შეიძინა 10,000 მან. ფართალი.

■ **მალიარიის წინააღმდეგ.** ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტ-ეპიდემიურ სექციამ გადასწყვიტა მალიარიასთან საბრძოლველათ პირველ რიგში გახსნას სამკურნალო პუნქტები კახეთში, სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში და ყარაიაზში.

■ **ექსკურსია.** 21 ივნისს განათლების მუშაკთა სახლის თაოსნობით ეწყობა ექსკურსია უფლის ციხის დასათვალიერებლათ. გრძელდება მსურველების ჩაწერა.

■ **სასაფლაოები ბაღებათ.** ქ. აღმასკომმა წინადადება მისცა სასაფლაოების გამგეებს, რათა მიიღონ ზომები სასაფლაოს და საფლავების ისეთ გასამშვენიერებლათ, რომ შიგ შეიძლებოდეს მოქალაქეთა სეირნობა როგორც ბაღებში.

■ **დახმარება უმუშევართ.** 23 ივნისიდან უმუშევართა დამხ. განყოფილება შეუდგება ივნისის თვის დახმარების გაცემას დაზღვეულ უმუშევრებზე.

■ **საერთაშორისო კოოპერატიულ კონგრესისათვის.** ცეკავშირმა გადასწყვიტა საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის მეთერთმეტე კონგრესზე 1 სექტემბრისათვის გაგზავნოს 2 წარმომადგენელი.

■ **საჯევახო-ჩოხატაურის გზა.** საჯევახო-ჩოხატაურის რკინისგზის დასამთავრებლათ ცეკავშირმა გადასდო 500 მან.

■ **ფოთის ჭაობების ამოშრობა.** ა|კ. წყალთა სამმართველო უკვე შეუდგა ფოთის ჭაობების ამოშრობის საქმეს. ფოთში ამ მიზნით მიავლინა სპეცები.

შეცდომის გასწორება.

წერილში „დიდმპყრობელი შოვინისტების ტკბილი ოცნება“ დაშვებულია შემდეგი კორრექტურული შეცდომა, რომელიც სრულიად ამახინჯებს აზრს:

„სმენავეხელის“ ნაწერიდან მოყვანილია ადგილი ამნაირად: „..იმის მაგიერ, რომ ჩვენ წერაკითხვის უცოდინარ ქვეყანაში ვაშენებდეთ **არა** ნაციონალურ კულტურას—უფრო სწორი, ყაირათიანი და ინტერნაციონალიზმის იდეასთან უფრო ახლო იქნებოდა, მოგვეწყო ერთი ფართო დიდი რუსული კულტურა“.

ხაზგასმულ სიტყვა „არა“-ს მაგიერ უნდა იყოს: „ახ“. (сто).

— გუშინდელ მეთაურ წერილში შეპარულია კორექტურული შეცდომები: სწერია: „მემარცხენე ბლოკს შეეშინდა **მარჯვნივ გადახრის**“... უნდა იყოს „**მარცხნივ გადახრის**“... დაბეჭდილია: „...პუანკარეს „**მამაცი** სული“ ისევ ცოცხლობს. უნდა იყოს: ..„.**მორტი** სული“...

შემთხვევები

■ **პატიმარის გაქცევა.** 6 ივნისს, 3 საათზე, 1-ლ სამილიციო რაიონის სამმართველოდან გაიქცა პატიმარი ვლადიმერ მირონენკო, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

■ **ქურდობა.** 16 ივნისს, დღით, სასამართლოს ქ. № 33, გაქურდეს მოქ. სოფიო პატილიანის ბინა, წაღებულია ერთი ოქროს ქალის შუბლის მოსართავი და ორი ძვირფასი ბეჭედი ღირებული 500 მან.

■ **თავის მოწამვლა.** 15 ივნისს, ღამის 1-ლ საათზე, საპიერის ქ. № 26, თავი მოიწამლა მოქ. ანასტასია სვანიძისამ, რომელიც მოთავსებული იქნა რესპ. მთავარ საავადმყოფოში. მიზეზი გამოურკვეველია.

■ **მკვლელობა.** 15 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ფეხსაცმელების რიგზე № 14 სახლის პირდაპირ ქუჩაში მოქ. შიმხონ მაღდელა-ოღლიმ დასაკეცი დანით რამდენიმე ადგილზე დაჭრით მოჰკლა მოქალაქე სამუილ მანუკიანცი. მკვლელი შეიპყრეს. მიზეზი მკვლელობისა გამოურკვეველია.

■ **ტრამვაის მსხვერპლი.** 16 ივნისს, დღის 2 საათზე, 19 თებერვლის ქ. ტრამვაის ვაგონმა გასრისა გიორგი გასპარის ძე დავიდოვი, გვამი გადაგზავნილი იქნა რესპუბლ. მთავარ საავადმყოფოში.

■ **თავის დახრჩობა.** 14 ივნისს, დილის 6 საათზე, ფსიქიატრიულ საავადმყოფოდან გაიქცა სულით ავადმყოფი მოქ. ნაბეი კოყლაევი, რომელიც გადავარდა მტკვარში და დაიხრჩო. გვამი იპოვნა მისმა ძმამ 15 ივნისს სოღანლუღში.

■ **გვამის პოვნა.** 13 ივნისს, სოფ. ჯარაჯალაში (ყარაიაზის რაიონი) ამავე სოფელში ჩამავალ მტკვარის პირას მოქ. ომარ მეხტი-ოღლიმ იპოვა დამხრჩვალი ქალის გვამი, დაახლოებით 26 წლისა, სრულებით შიშველი.

■ **მოკვლის განზრახვა.** 14 ივნისს, ღამის 11 საათზე, მოქ. ევგენი ნუცუბიძეს მცხ. ფოთის ქ. № 6 მოქ. ნინა ქიტიაშვილთან ერთად მინდვრათ სეირნობის დროს, ქალის ძმამ დიმიტრი ქიტიაშვილმა ესროლა რევოლვერი მოკვლის მიზნით, მაგრამ ნუცუბიძეს ტყვია ასცდა. დამნაშავე მიმალულია.

■ **ეკლესიის გაქურდვა.** 15 ივნისს, ღამით გაქურდეს პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია, მდებარე ნიკოლოზის და მელიქოვის ქ. კუთხეში, წაღებულია 300 მან. ნივთები.

■ **ქურდობა.** 15 ივნისს, ღამის 12 საათზე, პლეხანოვის პრ. № 55, მოქალ. კონსტანტინე გეგეჭკორის ბინა გაუტეხია მის სახლში არყოფნის დროს მისივე ნაცნობ სიმონ ტრინილს, წაუღია ორი რევოლვერი, 800 მ. ნივთები.

საბურთალოს ცხოვრებიდან

1921 წლის მალარიის ეპიდემიით განადგურებულ უბნის ცხოვრებაში აღსანიშნავია 1924 წლის 1 ივნისი. დილის 9 საათიდან, უბნის ყველა კუთხეებიდან ამოძრავდა ხალხი და გაეშურა იქვე არსებულ მე-20-ე შრომის სკოლაში თავიანთ შვილების ერთი წლის ნამუშევარის დასათვალიერებლათ. ამ დღეს აღნიშნულმა სკოლამ მოაწყო გამოფენა. რომელზედ სხვებთან ერთათ მოწვეული იყვნენ სახალხო განათლების წარმომადგენელნი. მშობლები აღტაცებაში მოიყვანა მათი შვილების ნამუშევარმა. ყველა გულდასმით და სიხარულით ვათვალიერებდით გამოფენაზე ყოველ საგანს, წარწერებს, მხატვრობას, ჩუქურთმულ ნაწარმოებთ და სხვ. სხვათა შორის სასიამოვნო სანახავი იყო „მოდელი“, ბავშვების მიერ გაკეთებული, რომელიც წარმოადგენდა საბურთალოსა და დიდუბეს შორის გადებულ ხიდს და მასზედ გაჩერებულ ტრამვაის.

სკოლიდან წავედით ადგილობრივ სახალხო სახლში სადაც ბავშვების მიერ გამართულ იქნა წარმოდგენა, რომელმაც აგრეთვე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. განსაკუთრებით მშვენიერი იყო ბავშვების მიერ შესრულებული ცეკვა. საზოგადოთ მოსწავლეებს ეტყობათ მზრუნველი ხელი მასწავლებლებისა, რისთვისაც ეს უკანასკნელნი დიდი მადლობის ღირსი არიან.

ამავე დღეს საღამოს ადგილობრივ ტროცკის სახელობის სახალხო სახლში გაიმართა კომუნისტური ნათლობა, რომელსაც პირველათ დაესწრო აქაური საზოგადოება და პირველათ მოისმინა აკადემიურ გუნდის მიერ შესრულებული სიმღერები კოტე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. ნათლობის ზეიმი გაიხსნა აკადემიურ გუნდის მიერ შესრულებულ ინტერნაციონალით, რის შემდეგ მომენტზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა მეოთხე რაიკომის წარმომადგენელმა ამხ. ელისაბედაშვილმა, განათლების პროფკავშირის წარმომადგენლებმა მონათლეს სამი ბავშვი, რომლებიც უხვათ დაასაჩუქრეს მანუფაქტურით. უწოდეს მათ ახალი სახელები: მაისა (პირველი მაისი), ალჯა (ალ. ჯაფარიძე) და რემ (რევოლიუცია, ელექტროფიკაცია, მშვიდობიანობა).

საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დაიშალა ღამის 11 საათზე, გამოვსთქვამთ იმედს, რომ კიდევ მოგვეცემა საშუალება ვინახულოთ საბურთალოში ასეთი სასარგებლო სანახავები და მოუსმინოთ აკადემიურ გუნდს.

გ. ჩ—ძე.

ხელოვნება

სახელმწიფო კონსერვატორიის ოპერის კლასის მოწაფეების საჩვენებელი საღამო.

16 ივნისს სახელმწიფო კონსერვატორიის ოპერის კლასის მოწაფეებმა საოპერო თეატრში მოაწყვეს საჩვენებელი საღამო. დადგმული იყო ნაწყვეტები შემდეგი ოპერებიდან: 1) „ევგენი ონეგინი“, 2) „რიგოლეტო“, 3) „ფაუსტი“ და 4) „აიდა“ (ორი სცენა). პარტიები განაწილებული იყო კონსერვატორიის კურს დამთავრებულ მომღერლებსა და მოწაფეებს შორის, რომლებიც განაგრძობენ მუსიკალურ-ვოკალურ განათლებას კონსერვატორიაში.

საორკესტრო პარტია კი შესრულებული იყო სახელმწიფო ოპერის ორკესტრის მიერ.

წარმოდგენის მიზანი იყო დაენახვებია საზოგადოებისათვის, თუ რამდენათ მომზადებული არიან ჩვენი უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის მოწაფეები თავისი პროფესიონალური მოღვაწეობისათვის. წარმოდგენის ყველა მონაწილეებმა აუდიტორიაზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინეს. ზოგიერთმა შემსრულებლებმა დიდი ნიჭი გამოიჩინეს და ისინი საოპერო მოღვაწეობისათვის სავსებით მომზადებულ მომღერლებათ უნდა ჩაითვალონ.

ოპერა „რიგოლეტო“-ში გამოვიდა მომღერალი ქალი სოგომონოვა (ჯილდა); მას ლამაზი ლირიულ-კოლორატურული სოპრანო აქვს; ამასთანავე მომღერალმა ქალმა გამოააშკარავა მშვენიერი სკოლა და მუსიკალობა.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ვენაძემ (რიგოლეტო). მას ლამაზი ლირიული ბარიტონი და მშვენიერი სკოლა აქვს; მსახიობი მოფიქრებულათ მღერის, მისი მუსიკალობა ეჭვს გარეშეა. სცენიურის მხრივ შესრულებამ დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა (ორივე მომღერალმა დაამთავრეს კურსი პროფ. რიადნოვის კლასში).

მოწაფე კოკაია მუსიკალური მომღერალია, მას ძლიერი ხმა აქვს, მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ არის სავსებით დამთავრებული მომღერალი.

მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა მომღერალმა ქალმა მამამთავრიშვილმა (პროფ. რეშიმოვას კლასი), რომელმაც მიმდინარე წელში დაამთავრა კონსერვატორიის კურსი; მას საუცხოვო ხმა აქვს—ის სავსებით მომზადებული მომღერალია (ტატიანას პარტია ოპერა „ევგენი ონეგინიდან“); პარტიის დრამატიული მხარე მოფიქრებულია, კარგია დიქციაც.

კარგი ხმა და მუსიკალობა აქვს მოწაფე ქალს სიროტკინას (კირილოვას კლასი).

ოპერა „ფაუსტის“ ერთ-ერთ ნაწყვეტში გამოვიდა მომღერალი ლიტვინენკო (მეფისტოფელი), მას ლამაზი ლირიული ბასი აქვს, კარგათ უჭირავს თავი სცენაზე. კარგია მიმიკა და დიქცია.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მოწაფე ქალმა კონოვალოვამ (პროფ. ფალკონეს კლასი).

ნაწყვეტში ოპერიდან „აიდა“ გამოვიდნენ გილბერტი (აიდა) და ირინა (ამნერის); ორივე მომღერალს დამთავრებული აქვთ პროფ. ზელიონაიას კლასი; გილბერტს ლირიულ-დრამატიული სოპრანო აქვს, ირინას კი მეცო-სოპრანო.

მოწაფე ქუმსიაშვილს ძლიერი ხმა აქვს და ის მუსიკალურათ მღერის.

მომღერალ ქალს მაკაშეილს მეტათ ძლიერი ხმა აქვს. ის მუსიკალურათ და მოფიქრებულათ მღერის.

მოწაფე ჩემერინის გამოსვლა ღია სცენაზე ჯერ კიდევ ნაადრევია. ის ამისთვის არ არის მომზადებული.

პ. ბ.

■ **სიმფონიური კონცერტი.** დღეს, 19 ივნისს, პროფკავშირთა საზაფხულო კლუბში გაიმართება სიმფონიური საღამო—სტოლერმანის ხელმძღვანელობით.

მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში მიღების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის სახ. კომისარიატის დადგენილება № 64

31 მაისი 1924 წ.

„დაქირავებულ შრომით მომუშავე პირთა სამუშაოს ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის წესის შესახებ“. (ა|კ. შრომ. სახ. კომ. უწყებები № 1—2) ა|კ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ 1922 წლის თარიღით და 24 №-ით გამოცემულ დადგენილების გასაუქმებლად ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1. ერთისა და იმავე უწყების (ან საზოგადოებრივ გაერთიანების) ფარგლებში მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა ერთი წარმოება-დაწესებულებიდან მეორეში ხდება უწყების (გაერთიანების) ადმინისტრაციის განკარგულებით და ასეთ გადაყვანაზე საჭირო არ არის რაიმე განსაკუთრებული ნებართვის მიღება შრომის ბირჟიდან.

შენიშვნა: სამსახურის გამო ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანის დროს ხარჯების კომპენსაციის წესი ნაჩვენებია ა|კ. შრომ. სახ. კომ. 1923 წლ. მაისის დადგენილებაში № 66 „ა. კ. შრომ. სახ. კომ. უწყებები“ № 3—4.

2. უწყებათ ან საზოგადოებრივ გაერთიანებათ, რომელთა ფარგლებშიც ნებადართულია თანამშრომელთა გადაყვან-გადმოყვანა, იგულისხმება დაწესებულებათა და წარმოებათა ჯგუფი, რომელიც სათანადოთ ექვემდებარება ერთს სახალხო კომისარიატს ან ერთ გამაერთიანებელ ცენტრს (მაგ. რესპუბლიკანურს).

3. წარმოება-დაწესებულებანი, რომელნიც თუმცა ექვემდებარება ერთ სახალხო კომისარიატს (ან ადგილობრივ გაერთიანებას) მაგრამ სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება, სარგებლობს დამოუკიდებლობით თავის ოპერაციების წარმოების დროს და წარმოადგენს განკერძოებულს სამეურნეო ორგანიზმს—ასეთი წარმოება-დაწესებულება მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანის მხრივ განიხილება როგორც ცალკე უწყება—მაგალ. ტრესტს უფლება აქვს დამოუკიდებლათ აწარმოოს მუშა-მოსამსახურეების გადაყვანა უწყებული ტრესტის ქვემდებარე წარმოება-დაწესებულებათა ფარგლებში, მაგრამ არა ერთი ტრესტიდან მეორე ტრესტში.

4. ყველა წარმოება-დაწესებულებანი (სახელმწ. საზოგადო და კერძო) მოვალენი არიან იქონიონ ადგილკომის მიერ დადასტურებული მოწმობები ყველა იმ მუშაკებზე, რომელნიც მათ გადაჰყავთ საუწყებო განკარგულების ძალით სხვა ქალაქში არსებულ თავის განყოფილებებში და წარმომადგენლობაში, მათ შორის იმ მუშაკებზედაც, რომელნიც მიღებული არიან შრომის ბირჟაზე შემდეგი რეგისტრაციის წესის გატარებით (ა. კ. შრომ. სახ. კომ. 1923 წლ. 13 მარტის დადგენილება № 39-ის წესით „ა. კ. შრომ. სახ. კომ. უწყებები“ № 3—4).

ეს მოწმობები გადაიგზავნება სამუშაოს ახალ ადგილზე.

5. მუშა-მოსამსახურეთა ერთი უწყების (საზოგ. გაერთიანების) წარმოება-დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანა განიხილება, როგორც დათხოვნა სამუშაოს ერთი ადგილიდან და მეორეზე მიღება, მასთან მათ მიმართ მოქმედობენ დაქირავების შესახებ არსებული ყველა კანონები და დადგენილებები.

6. ამ დადგენილების 3 და 5 მუხ. წესით გადაყვანის დროს დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეებს ძველი სამსახურის ადგილზე სრულიად უსწორებენ ანგარიშს; მასთან ვისაც არ დაუმსახურებია შვებულების მიღების უფლება, მას ეძლევა კომპენსაცია ნამუშევარი დროის პროპორციულად (შვებულების შესახებ ა. კ. შრომ. სახ. კომ. მიერ 23 წ. 15 ოქტომბრის № 70 გამოც. დადგენილ. საფუძვლით).

7. დაქირავების წესების დაცვის მხრივ წარმოება-დაწესებულებების დათვალიერების დროს, შრომის ინსპექტორებმა თვალყური უნდა ადევნონ ამ დადგენილების სისწორით შესრულებას. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა ამ დადგენილების დარღვევას, იმ წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელნი, რომელთაც დაუშვეს ასეთი დარღვევა, მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ა|კ. შრომ. სახ. კომ. მოადგილე **ა. იაშვილი.**

საერთო საორგ. გან. გამგ. მაგ. **თუმანოვი.**

კინო

„მისტერ ვესტის თავგადასავალი“

ის, რასაც კინო „ეთერში“ აჩვენებენ „მისტერ ვესტის თავგადასავალი ბოლშევიკთა ქვეყანაში“ სახით—მოგონილი არავის ეგონოს. განსაკუთრებით ამ სამი-ოთხი წლის წინედ უცხოეთი დარწმუნებული იყო, რომ „ბოლშევიკთა ქვეყანა“—რუსეთი პაპუასების და ეფიოპების ქვეყანაა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში ადამიანებს ცოცხლად სჭამენ, ხარშავენ, ქუჩებში დადიან დათვები, თვითეული ბოლშევიკი თუ ტყვიისმფრქვეველით არა—რამოდენიმე თოფითა და ყუმბარით მაინც არის შეიარაღებული. მათი წარმოდგენით, ჩვენში არ იყო არავითარი წესრიგი, არავითარი კანონი—ყველა აკეთებდა, რაც მოეპრიანებოდა და ის იყო ძლიერი, ვინც შესძლებდა ბევრი კაცის მოკვლას. ქუჩებში ხომ ყველანი შეიარაღებული იყვნენ; უნივერსიტეტი, თეატრი, წიგნი, კარგი ტანსაცმელი—ყველა ეს კანონს გარეშე იყო გამოცხადებული... და აი ასე მიმდინარეობდა ცხოვრება „ბარბაროსთა ბოლშევიკურ ქვეყანაში“.

უცხოეთის პრესისათვის ეს ლიტონი სიტყვა კი არ იყო; ამის „დასამტკიცებლად“ აუარებელი „ფაქტები“ იბეჭდებოდა ყოველ დღე ჟურნალ-გაზეთებში. რასაკვირველია, ამის სულის ჩამდგმელი წითელი რესპუბლიკების საზღვრებიდან გადაბარგული ემიგრაცია იყო. ის შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ უცხოეთის თვალში კიდევ და კიდევ ჩირქი არ მოეცხო საბჭოთა კავშირისათვის. ასე იყო ამ სამი წლის წინედ, ასეა ეხლაც.

დღესაც უცხოეთში მათი წყალობით ბევრნი დარწმუნებული არიან იმაში, რომ ჩვენში ჩვეულებრივ საჭმელ ხორცად ადამიანის ხორცია შემოღებული. სწორედ ეს მომენტი საუცხოვოდაა აღებული და გაშუქებული ზემოაღნიშნულ სურათში.

იანკი (ამერიკელი), რომელიც აპირებს მოსკოვში წამოსვლას, ღებულობს სხვადასხვა „კულტურულ“ დაწესებულებებიდან გაფრთხილებას, რომ მოსკოვში წასვლა ნიშნავს სიცოცხლეზე ხელის აღებას. ფაქტები? უამრავი ჟურნალ-გაზეთები ბოლშევიკების კაცი-ჭამიობის ილიუსტრაციით. მისტერ ვესტი მაინც მოდის მოსკოვში. არაჩვეულებრივ თავგადასავლის შემდეგ ის რწმუნდება სრულიად საწინააღმდეგოში...

სურათი ლამაზად და მოხდენილადაა გადაღებული. ის, რუსეთის სახელმწიფო კინო-მრეწველობის ნამუშევარია. სურათის წარწერებზე არ არის არც ერთი შეცდომა, რაც უსათუოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ლამაზი და მოხდენილია ტრიუკები; სრულიად დამაკმაყოფილებელია როლების შესრულება.

სინათლის ეფექტები კარგადაა შეხამებული. სურათი უსათუოდ საბჭოთა კინო-მრეწველობის დიდი გამარჯვებაა.

უ.

პროვინციაში

ქ. ფოთი

(ქ. ფოთის ჯანმრთელობის განყოფილების საყურადღებოდ)

ფოთში უკვე საგრძნობი სიცხეები დაიჭირა და ხალხი გრილ ალაგებისაკენ მიეშურება. ეს ალაგები ფოთში არის მხოლოდ მდ. რიონის ნაპირები და ქ. ბულვარი, მაგრამ აქ მოსვენება ყოვლად შეუძლებელი ხდება. ერთხელაც არ მოსვლია ფიქრად ქ. ფოთის სანიტარული კომისიის ინსპექტორს დაათვალიეროს ქალაქი და მის ახლო ახლო მდებარე სოფლები და დაიცვას უსუფთაობიდან.

ქ. ფოთის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე მოქ. თურქიანი არის ამავე დროს სანიტარული კომისიის ინსპექტორი და რა ხდება მის დაწესებულების ირგვლივ, მან თვითონ არ იცის. მოქ. თურქიანო, დროა გამობრძანდეთ თქვენი კაბინეტიდან და დაათვალიეროთ, თუ გნებავთ თქვენდამი რწმუნებული საბჭოთა საავადმყოფო, მისი ეზო-მიდამო, და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ სანიტარულ დარგს ვერ უყურებთ ისე, როგორც ეს საჭიროა. შემდეგ, ნახეთ—ცენტრალური ამბულატორიის ახლომახლო რა ამბავი ტრიალებს, შეხედეთ ბულვარს. დროა ყველა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება, სანამ ქალაქში გაჩნდებოდეს საშინელი სენი და სანამ შეიწირავდეს ათეულ მშრომელთ, მდიდრები კი სხვაგანაც შეაფარებენ თავს.

ფ—ს მეთვალყურე.

ახალციხის მაზრა

პარტიული თუ საბჭოთა აღმშენებლობა მაზრაში შესაძლოა სასურველი სისწრაფით ვითარდებოდეს იმ შემთხვევაში, თუ მშრომელთა მასა თვით ღებულობს აქტიურათ მასიურ მონაწილეობას.

ახალციხის მაზრის მცხოვრებნი ამ შემთხვევაში ვერ წარმოადგენენ ისეთ მასალას, რომლის შემწეობით შესაძლო იყოს საბჭოთა აღმშენებლობის ჩქარის ტემპით განვითარება. მაზრაში 98 პროც. წერა-კითხვის არამცოდნეა. უდიდესი უმრავლესობა მუსულმანებია, რომელთაც ღრმად აქვთ გამჯდარი ძვალსა და რბილში ფეოდალურ ურთიერთობაზე აღმოცენებული ჩვეულებანი. სოფლებში მოლებს კიდევ დიდი გასავალი აქვთ. რასაც მოლები იტყვიან, გლეხები უსიტყვოთ ღებულობენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე უღარიბეს გლეხებს მოესმათ ხმა, რომ სოფლის ცხოვრების მოწყობა დამოკიდებულია მათზე; რომ არ არსებობს ბატონობა ბეგის, კულაკის, ჩარჩების და სხვების. პირველი ორი წლის განმავლობაში მუსულმანი გლეხები, მოლების შთაგონებით, ფიქრობდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ახალციხის მაზრაში დროებითია და ის მალე უნდა შეიცვალოს ქემალისტებითო. მაგრამ გადის დრო და საბჭოთა ხელისუფლება ღრმად იდგამს ფესვებს მშრომელთა მასებში. კომუნისტური ლოზუნგები და საბჭოთა აღმშენებლობის პრინციპები ღარიბ გლეხობას არ სჯეროდა თუ ცხოვრებაში გატარებული იქნებოდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, პრაქტიკულად დარწმუნდა გლეხი, რომ პრინციპები პრინციპებათ კი არ რჩებიან

მუშათა ცხოვრება

ექიმი ასეთი უნდა.

(ჯანსალკომის საყურადღებოდ).

გაღმა კახეთის მხარე ძლიერ ჩამორჩენილი იყო როგორც განათლების, აგრეთვე სხვა მხრივაც ხალხი იტანჯებოდა დიდი ხნის განმავლობაში ავი სენით—მალარიით. მაგრამ თითქმის ორი წელიწადია რაც თავგამეტებით და გაუბედლად ამას ებრძვის ექიმი მ. იაშვილი, რომლის ნაყოფიერი შრომით მრავალი სასიკვდილოდ გამზადილი ხალხი გადარჩა, სიცოცხლე შეინარჩუნა. ალაზანს გაღმით მდებარე აფენი—ლელიანის საზოგადოება კმაყოფილია მხნე ექიმით. გარდა ამისა ექიმის მოღვაწეობა ქულტურულ და მატერიალურ დარგთა გაუმჯობესებაშიც გამოიხატება. ის სცდილობს, რომ აფენ—ლელიანის მცხოვრებლები კულტურულად სათანადო სიმაღლეზეც დააყენოს.

უკანასკნელად ექ. იაშვილმა გადასწყვიტა ხალხის ნივთიერი გაუმჯობესებისათვის ალაზანზე რკინის ხიდის აგება. ამ ხიდის დიდ მნიშვნელობას იგრძნობს ყველა, ვისაც კი, გარე-კახეთი უნახავს და გასცნობია ალაზანს გაღმა მხარეს. ხის ხიდებს ხშირად ანგრევს წყალი და ამის გამო გლეხებს უხდებათ გადატანა დიდი სივიწროვისა. ეს მადლიერი გადაწყვეტილება ექიმმა არა სიტყვით, არამედ საქმითაც დაამტკიცა: საჭირო რკინის ფერმები უკვე ჩამოიტანა სად. კარდანახში და სცდილობს ამ ზაფხულის განმავლობაში ეს საქმე დააგვირგვინოს. ჩვენს საზოგადოებას ხშირჯელ მოუხსენებია მისთვის მადლობა და ეხლაც დიდ მადლობას უცხადებს მას.

ვაშა ექიმ იაშვილს!

მადლობა კარგ ექიმს!

ს. ფ.

ჩვენ რაღა დავაშავეთ?

(ქ. თბ. ალმასკ. საყურადღებოდ)

ლენინის უბნის მცხოვრებნი ანევის და როსტოვის ქუჩაზე მუშებმა ალმასკომის სახელზე შევიტანეთ კოლექტიური განცხადება, რათა გაეყვანათ აღნიშნულ ქუჩებზე სინათლე. მაგრამ დღემდის არაფერი ღირსებია აღნიშნულ ქუჩებს, ისევ ისეთი სიბნელე სუფევს აქ, როგორიც იყო წინეთ, რითაც ქურდ-ბაცაცები სარგებლობენ ბნელ ღამეში და დიდს ზიანს აყენებენ მცხოვრებლებს.

სად არის ჩვენი განცხადება?

ალმასკომის კანცელარიაში ცნობის მიღების დროს აღმოჩნდა, რომ კოლექტიური განცხადება მცხოვრებლების მიერ შეტანილი ალმასკომში სათანადო რეზოლიუციით გადაცემული იქნა „უესის" განკარგულებაში პირადად ინჟ. ჩირქაძესთვის რათა მას გაეყვანა სინათლე.

მაგრამ მან ეს არ შეასრულა უკვე 9 თვეა ინჟ. ჩირქაძის ხელშია, მას მაინც არ უფიქრია იმაზე, რომ სინათლე ძალიან საჭიროებს პროლეტარულ უბანში სადაც ქურდობას და ავაზაკობას აქვს ფესვი გადგმული, რაშია საქმე?

ჩვენ რაღა დავაშავეთ?

მუშა და ღარიბ მცხოვრებლების დავალებით: ლ. ლებედევი.

ყოველი პროფკავშირის წევრი მუშკოოპის წევრიც უნდა გახდეს

კოოპერატივი ებრძვის კერძო კაპიტალს, ის ლაგამს ადებს თავგასულ ვაჭარ-სპეკულიანტებს, კოოპერატივი ამაგრებს და აძლიერებს ქალაქისა და სოფლის მუშა-მშრომელების კავშირს, ყველაფერი ეს ჩვენმა მუშებმა კარგად იციან.

რა უნდა ვქნათ მაშ ჩვენ, ამხ. მუშებო, რომ „ჩვენი ოჯახი", კოოპერატივი, კერძო კაპიტალთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს და ჩარჩ ვაჭრებმა ველარ შესძლონ ჩვენი ისევ უწინდებური დატყუილება, რომ ჩვენ ჩვენი კოოპერატივით დავეხმაროთ ერთმანეთს, ქალაქის მუშებმა სოფლის მშრომელ გლეხობას და გლეხობამ ქალაქის მუშებს?

პასუხი აშკარაა. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი კოოპერატივი.

მტკიცე კურსის გამოსვლამდის კოოპერატივის მომგებიანობას ხელს უშლიდა ყოველდღიური კურსის ცვლა. კოოპერატივი ცდილობდა როგორმე ძირითადი საწევრო კაპიტალი შეენარჩუნებია. ამასთანვე ფასების რყევაც მუდამ ცუდ გავლენას ახდენდა მუშკოპის მუშაობაზე.

ფულის რეფორმის გატარების შემდეგ მთლიანი მუშათა კოოპერატივი მაგრდება, ძლიერდება, მისი წარმოება საგრძნობლად გაიზარდა.

მაგრამ ეს არ არის საკმარისი და ჩვენი ვალია მხარში ამოუდგეთ ჩვენ კოოპერატივს და ყველა უკლებლივ გავხდეთ მისი წევრი, საგრძნობლად გავადიდოთ მისი საწევრო თანხა 10.000 მანეთით.

ინფ. მიშა

მოხედით ბნელ ქუჩებს

(ქალაქის ალმასკომის საყურადღებოდ)

სურპ-კარაპეტის აღმართზე (მე-8 რაიონში) ღამით არ არის სინათლე, სადაც მცხოვრებლები და საერთოდ ამვლელ-ჩამვლელი ხალხი განიცდიან დიდ გაჭირვებას უსინათლობის გამო. იქვე აღმართის შესახვევში ადის ქვის კიბეები. კიბეების თავზე მოსახვევში იყო საშინლად გაფუჭებული გზა. ოღრო-ჩოღროები, სადაც მრავალი ხალხი ზიანდებოდა. ამას მიაქციეს ყურადღება; ამოავსეს მიწით და გაათანასწორეს ეს გზა. მაგრამ საუბედუროდ აღმოჩნდა ახალი არაჩვეულებრივი ზიანი. არის საშინელი, ღრმა ეზო და ამვლელ-ჩამვლელი ქუჩაში უსინათლობის გამო ვერ ამჩნევს ამას და ცვივდებიან დაბლა ეზოში. ამ რამოდენიმე ხნის განმავლობაში რამოდენჯერმე განმეორდა ეს ამბავი. ვთხოვთ ჩვენ, აქა მცხოვრებელი მუშა-მოსამსახურენი ალმასკომის კეთილმომწყობ კომისიას მიაქციოს ყურადღება და მოგვცეს სინათლე და შეიღობოს ეზო, რათა აგვაცდინოს ეს სახიფათო მოვლენები.

ინფ. ქაჯი.

რკინისგზელებში

დარაჯები კულტმუშაობაზე ნაკლებად ფიქრობენ

(ადგილკომის, პროფკავშირის და კულტგანყ. საყურადღებოდ)

მთავარ სახელოსნოს დარაჯების რიცხვი 40 კაცამდე აღწევს. ყველა ესენი კავშირის წევრები და დაზღვეულებიც არიან. სამწუხაროდ, ესენი თვითგანვითარების საქმეს სრულებით არ ეწაფებიან და გაზეთებსაც ძლიან ნაკლებად იწერენ.

აქ აუცილებლად საჭიროა დაინიშნოს განსაკუთრებული ხელმძღვანელი, რომელსაც დაევალოს ეს ბნელი ხალხიც ჩააბას კულტურულ საქმეში.

მუშკორი მნახველი.

რკინისგზელი მუშები კოოპერატივებში ეწერებიან

მთავარ სახელოსნოს სავაგონო საამქროში ამ დღეებში შესდგა ადგილობრივ მუშათა კრება, სადაც კოოპერატივის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. ამხ. პონომარევმა და დვალიძემ. მუშები მომხსენებლებს დიდის ყურადღებით უსმენდნენ და ბოლოს დაადგინეს—ყველანი ჩაეწერონ კოოპერატივებში, შეიტანონ გადიდებული პაი, გაწმინდონ კოოპერაცია არა სასურველი ელემენტებისაგან, იყიდონ საჭირო საგნები მხოლოდ თავის კოოპერატივებში კერძო ვაჭართა შესუსტების მიზნით; მასთან ჩვენი მუშები უარს აცხადებენ დივიდენდის (წმინდა მოგების) განაწილების შესახებ. ასეთი მათი აზრით უნდა მოხმარდეს მხოლოდ კოოპერაციის საქმეს.

მუშკორი მესხეთელი.

მოგვეცით სინათლე.

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ).

ლენინის უბანში მუშათა ქუჩა განიცდის უსინათლობას, სადაც აუცილებლად საჭიროა სინათლე. უსინათლობის გამო ჰხდება აქ ქურდობა და სხვა მაგვარი საზიზღროება.

რომ ეს უბედურება თავიდან აგვეცილებია, ამავე უბანში მცხოვრებმა მუშებმა მივმართეთ სადაც ჯერ არს და ამის საღირალი ფულიც გადავიხადეთ, მაგრამ ყოველ ჩვენ მიმართვაზე დღემდის ვღებულობთ მხოლოდ დაპირებას და სინათლე კი არა სჩანს, აქ მილიციაც არას დროს არ იმყოფება. რაშია საქმე? ნუ თუ ეს უბანი ყურადღების ღირსი არ არის?

მუშკორი კოჟ-ვუში.

ვინ მოგვხედავს

ამ ცხრა თვის წინედ შესდგა **ლენინის უბანში** (პლეხანოვის თეატრში) მთავარი სახელოსნოს მომღერალთა გუნდი. ამ გუნდის ხელმძღვანელი არის გიორგი სვანიძე, აქ მეცადინეობა სწარმოებდა უწინ მუდამ დღე. გუნდი შესდგება 80 ქალი და მამაკაცისაგან. ქალები არიან სულ მუშის ქალი-შვილები. ისინი არ მსახურებენ არსად. გუნდი არის კარგად მომზადებული. ამ მომზადებაში ხელმძღვანელს დიდი ღვაწლი მიუძღვის, რის გამო ის მადლობის ღირსიც არის, მაგრამ ნაკლი აქაც არის. სადაც საჭიროება მოითხოვს, ყველგან გვგზავნიან და უკლებლადაც მივდივართ. მაგრამ ჩვენს შრომას არა აქვს დაფასება. გუნდს ესაჭიროება ფეხსაცმელები. ქალები სულ ფეხშიშველა არიან. მივმართეთ კავშირის კულტგანყოფილებას, მაგრამ ჩვენ ყური არვინ გვათხოვა. საჭიროა მოგვექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი ჯარეიშვილი.

მუშკორთა ბიუროს დაარსება ლენინის რაიონში

14 ივნისს დღის 1 ნახ. საათზე შესდგა ლენინის რაიონის მუშკორთა საზოგადო კრება. ამხანაგი გოლდბაუმის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) დაარსება პირველ რაიონში მუშკორთა ბიუროსი და 2) ბიუროს არჩევნები.

მოკლე სიტყვით გაგვაცნო ამხ. გოლდბაუმმა მუშკორთა კორპორაციის მნიშვნელობა საბჭოთა აღმშენებლობაში.

შემდეგ მოხდა არჩევნები. აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი ბიურო და ორი კანდიდატი.

მუშა ნესტორის ძე.

პასუხი მუშკორ თავდომაძეს

(იხ. „კომუნისტი" № 128)

„კომუნისტი"-ს № 128-ში მოთავსებული იყო წერილი მუშ. დ. თავდომაძის „თბ. დამზღვევ კასის საყურადღებოდ", რომელშიაც ის გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ზოგიერთ უბნის ამბულატორიებში კარგად ვერ არის საექიმო საქმე მოწყობილი.

დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ქვე-განყოფილებამ გამოარკვია ეს საქმე და აცხადებს, რომ ოლღას ქუჩაზე დაზღვეულთა ქვე-განყოფილებას არა აქვს უბნის ამბულატორია. ეს ამბულატორია ეკუთვნის თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას. მხოლოდ ამ ამბულატორიაში ქვეგანყოფილებას დაუთმო ჯანმრთელობის განყოფილებამ ერთი ოთახი, რომელშიაც მოქმედობს მხოლოდ დაზღვეულთა კბილის საექიმო კაბინეტი 4—8 საათამდე. ამ კაბინეტში აქნამდის მუშაობდა ერთი კბილის ექიმი, მხოლოდ 2—3 კვირის წინ დაინიშნა მეორე კბილის ექიმიც, რომ ამით მისცემოდა დაზღვეულებს შეღავათი კბილის ექიმობაში. ქვეგანყოფილებამ გამოარკვია, რომ კბილის ექიმმა კაპანაძემ მუშ. თავდომაძეს მოურჩინა კბილები და მანქანით გაუწმინდა ე. ი. ამოაცალა ზედმეტი ქვები. რომლებიც ზიანს აყენებდა კბილებს. რასაკვირველია, მან უარი უთხრა კბილების დაფერვაზე ჩოთქით და ფხვნილით, ვინაიდან ეს არ შეადგენს ამბულატორიის კბილის ექიმის მოვალეობას.

ქვე-განყოფილების გამგე:

ხუტულაშვილი.

არამედ ისინი მთელი თავისი შესაძლებლობით ცხოვრებაში ტარდებიან; აქამდე თუ ფუხარა გლეხი შორს იდგა საბჭოთა აპარატებიდან და მასთან მოდიოდა მხოლოდ „გამოქექილი" კულაკი, ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. ფუხარა გლეხმა უკვე ჰპოვა თავისი ინტერესების დაცვა საბჭოთა აპარატებიდან და ამ უკანასკნელ წელში მუსულმანური ღარიბი გლეხობა მასიურათ დაუკავშირდა საბჭოთა ხელისუფლებას და მის გამომსახველ ორგანოებს.

უკულტურო, მუსულმანურ ღარიბ გლეხობის დაახლოება და დაკავშირება საბჭოთა ხელისუფლებასთან არის უდიდესი მიღწევა საბჭოთა აღმშენებლობისა ახალციხის მაზრაში.

დაახლოების შემდეგ მოხდა მათი ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში.

ყველა სასოფლო საბჭოებში ადგილობრივი გლეხები მუშაობენ. რასაკვირველია, პირველ ხანებში მათ მუშაობაში დეფექტები არის, მაგრამ მათი გლეხური ალღო ძალიან ხშირათ სოფლის საკითხებს ჩინებულათ აწესრიგებს. ფართო მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე ღარიბი გლეხობა გლეხთა დამხმარე კომიტეტში მუშაობის დროს. მთელი სოფლები დაუკავშირდა გლეხკომებს და მათი ღარიბი ნაწილი ღებულობს დახმარებას, როგორც ხორბლეულით, აგრეთვე მდიდრის თავისუფალ მუშა-საქონლით ყანების დახვნა-დასათესად და სხვა. გლეხკომები მეტათ პოპულიარული გახდენ სოფლათ და ღარიბი გლეხობა მას სთვლის საკუთარ ორგანიზაციათ და მის გარშემო მტკიცედ იკრიბებიან. გლეხკომებს დიდი მომავალი აქვთ სოფლის ცხოვრების მოწყობაში.

ახალციხის სამაზრო ალმასკომმა გარდა ზემოაღნიშნული უმთავრეს დანიშნულების ცხოვრებაში განაღდებისა. (საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელი მასის დაკავშირება), მრავალი ორგანიზაციული და აღმშენებლობითი მუშაობა ჩაატარა. მე აღვნიშნავ აქ მხოლოდ ორიოდე სიტყვით რამოდენიმე ფაქტს.

მაზრის ცენტრსა და პერიფერიებს შორის იყო დაგვიანებითი კავშირი, მაგრამ ამხ. ს. ორჯონიკიძისა და ათაბეგოვის დახმარებით ალმასკომმა შესძლო მაზრაში ტელეფონის ქსელის მოწყობა და ეხლა პერიფერიები სამაზრო ცენტრთან ტელეფონებით არის დაკავშირებული, რაც მეტათ აადვილებს სწრაფ განკარგულებათა ცხოვრებაში გატარებას.

სამაზრო ალმასკომის ენერგიული შრომით შენდება ჰიდრო ელექტრონული სადგური 150 ცხენის ძალით, რომლის გადიდება შეიძლება 300-დეც. ეხლა არსებობს დროებითი ელექტრონული სადგური, რომელიც ნაწილობრივ ქალაქს და საბჭოთა დაწესებულებებს აკმაყოფილებს.

მაზრის გასაბჭოებამდე იყო 13 სკოლა, ეხლა კი 45-ია და წელს კიდევ შენდება ათი შენობა ახალი სკოლებისათვის.

მიწის რეფორმა ჩატარდა უმტკივნეულოთ, თუმცა მიწის საშინელი სიმცირის გამო შესაძლო იყო დიდი ექსცესები.

სამაზრო ალმასკომი ამუშავებს ინფუზორიის მიწას და აგზავნის ლენინგრადში, კრასნოდარში, ცარიცინში და სხვა ქალაქებში.

სამაზრო ალმასკომს აქვს ხე-ტყის ექსპლოატაციის მონოპოლია და, უნდა ითქვას სიმართლე, რომ ამ დარგში მუშაობის დროს მან გამოიჩინა დიდი დაკვირვება და მუყაითობა.

მრავალია საქმეები ახალციხის მაზრის ალმასკომის მიერ გაკეთებული, რომელთა ჩამოთვლა ერთ წერილში შეუძლებელია.

პ. ხუნდაძე.

სოფ. ქსოვრისი (დუშეთის მაზრა)

კვირას, 25 მაისს ს. ქსოვრისის შრომის სკოლის მიერ გამართულ იქნა საღამო შემდეგი პროგრამით; საბავშვო პიესა 3 მოქ. „კოტეს დანაშაულობა" და კონცერტული განყოფილება. საღამო იყო მოწყობილი ფრიად შინაარსიანად. მოწაფეებმა წაიკითხეს ლექსები, რომლებშიც გამოხატეს ბუნებისა და მშრომელ ხალხის ალტაცება გაზაფხულის მოსვლის გამო. ამ საღამოს მომზადებაში მასწავლებლებს, სონია რუმიანცევას და რუსუდანა რატიშვილს დიდი შრომა და ენერგიის დახარჯვა მიუძღვით.

ამ უკანასკნელთა შრომით და მეცადინეობით აქ გახსნილია სალიკვიდაციო სკოლა მოზრდილთათვის, სადაც სწავლა სწარმოებს საღამოობით და ირიცხება 50-კაცამდე. აქვე არის გახსნილი ქოხ-სამკითხველო, სადაც იგინი თავისუფალ დროს უკითხავენ ადგილობრივ გლეხებს გაზეთებს და ბროშიურებს. მადლობა ასეთ პედაგოგებს, რუმიანცევას და რატიფალს, რომლებიც ახალთაობის და გლეხების აღზრდისათვის არავითარ ენერგიას არ იშურებენ.

დამსწრე ქ.

საჭიროა ასეთი მასწავლებლების განდევნა

(შუხუთის თემი. გურია)

ამას წინედ შუხუთის შვიდწლედ სასწავლებელში საზიზღარ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ორ ქალ-მასწავლებელს შორის.

3 განყ. მასწავლებელმა ქალმა გოგოლა ორაგველიძისამ 2 განყ. მასწავლებელ ქალს ტერეზა იმნაიშვილისას საჯაროდ ბრალი დასდო მსუბუქ, საეჭვო ყოფა-ქცევაში.

ამის გამო ორივე მასწავლებელი ქალი წაიკიდნენ, ერთიმეორესაკენ წაიწიეს ქვის სროლით და ქუჩური სიტყვებით, პროსტიტუტკების ძახილით. მათ კივილ-ჩხივილს ადგილობრივი მცხოვრებლებიც კი დაესწრენ; მცხოვრებლებს ვინ ჩიოდა, იქ მათ მოწაფე ბავშვებს რომ არ ეყურებია მათი უსინდისო საქციელისათვის.

ასეთ მოვლენას მათი მხრივ მრავალჯერ ჰქონია ადგილი.

საჭიროა ასეთი მასწავლებლების, რომლებიც ჩვენს პრესტიჟს სცემენ მასსაში და მასთან პატიოსან და ენერგიით აღსავსე მასწავლებლობასაც,—განიდევნონ ერთხელ და სამუდამოდ მასწავლებლების რიგებიდან. მათ მიერ აღზრდილი მოზარდი თაობა მათგან გინება-ლანძღვის მეტს ვერას შეისწავლის.

აღნიშნულ პირთ კი შუბლი მორეცხილი აქვთ და თავისუფლად „დაპანტურობენ", ვითომც არაფერი მომხდარიყოსო.

ელისპირიშვილი.

გამოჩინებულის თემი (ქუთაისის მაზრა)

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 99 კორ. „მორიელი" ბრალს სდებდა გამოჩინებულის თემის საავადმყოფოს ექ. სილ. ნიკურაძეს თითქოს ის აკეთებდა აბორტებს და ღებულობდა დიდ გასამრჯელოს, რომ ექ. ნიკურაძე ამ საქმეში არ იყო სპეცი, რის გამოც კლიენტების უმრავლესობა წუთისოფელს ესალმებოდნენ და სხვა. ამ საქმის გამოსარკვევად შემდგარმა სამედიატორო სასამართლომ თავის სხდომებზე ა. წ. 25 მაისის და 7 ივნისის თარიღით დაწვრილებით განიხილა „მორიელი"-ს მიერ წაყენებული ბრალდებები.

დაკითხულ იქნა 5 მოწმე „მორიელი"-ს მიერ დასახელებული და ექ. ნიკურაძის მიერ—4 კაცი. განხილულ იქნა მრავალი წერილობითი განცხადებები თემის მცხოვრებლების მიერ შემოტანილი ამ საქმის გამო. როგორც ამ ცხრა მოწმის, აგრეთვე თემის მცხოვრებლების მიერ შემოტანილი განცხადებებიდან სჩანს, კორ. „მორიელი"-ს მიერ ექ. ნიკურაძის მიმართ წაყენებული ბრალდებები არამც თუ არ დამტკიცდა, პირიქით, როგორც მოწმენი „მორიელი"-ს, აგრეთვე მოწმენი ექიმის. ამტკიცებენ, რომ ექიმი ნიკურაძე, გარდა იმისა რომ კარგი ექიმია, ამასთან ერთად ეწევა მრავალ ავადმყოფების საგრძნობ დახმარებას წამლით თუ ფულად.

სამედიატორო სასამართლო აღნიშნავს, რომ თვით „მორიელი" თავის საბოლოო წერილობითი მოხსენებაში ამბობს, რომ უმთავრესად ის ემყარებოდა ყალბ ინფორმაციას.

სამედიატორო სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში ზემონათქვამი, დაადგინა:

ექ. ნიკურაძე წამოყენებული ბრალდებებში სავსებით მართალია. კორ. „მორიელი" ღირსია მსჯავრის დადებისა, ვინაიდან ასეთი წამოსროლილი სიტყვები და მოქმედებანი ხალისს უკარგავს პროვინციაში მომუშავე ინტელიგენციას, რითაც დიდ ზიანს აყენებს სოფლის მშრომელ ხალხს *).

სასამართლოს თ—რე ლ. ყენია.

მედიატორენი: **1. სტეფანე თარგამაძე, 2. ილიკო სხვიტარიძე.**

მდივანი: **ვასილ ზაქარეიშვილი.**

შენიშვნა: ყველა საბუთები ინახება გამოჩინებულის თემის კომუჯრედის პ. | მ. მდივანთან ამხ. ბიქტორ შანიძესთან. ვ. ზ.

---

*) ჩვენ მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ კორესპონდენტმა შეცდომაში შეგვიყვანა.

რ ე დ.

ხეთის თემი (ზუგდიდის მაზრა)

29 მაისს ხეთის თემში მოხდა საშინელი და ჯერ არ ნახული საზიზღარი მკვლელობა. ხსენებულ სოფელში მცხოვრებ ბესარიონ მეუნარგიამ საღამოს 8 საათზე კისერზე ხელის მოჭერით დაახრჩო თავისი დედა. ამ საზარელი მოქმედების მიზეზი ის არის, რომ დედამთილი რძალს ყავდა აძულებული და სიცოცხლის დროს მუდამ სცემდენ როგორც რძალი, ისე შვილიც. ხოლო ხსენებულ დროს ორივეს შეთანხმებით, შვილის (ბესარიონის) მიერ იქნა დახრჩობილი დედა. მკვლელობის მეორე დღეს მივიდა ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე მ. ჯგერენაია და მოიყვანა ფერშალი ლ. ლატარია, რომელიც დახრჩობის ნიშნების მიხედვით დარწმუნდა ასეთ მოქმედებაზე. ჯგერენაიამ შეადგინა შესაფერი ოქმი და წარუდგინა რაიალმასკომს, რომლის განკარგულებით იქნა დაპატიმრებული შვილი გარდაცვალებულისა ბ. მეუნარგია. მაზრას ასეთ მოქმედებაზე ჰქონდა ცნობა, მაგრამ გარდაცვალებულის დაკრძალვის მხოლოდ მესამე დღეს ჩამოვიდენ მაზრიდან ექიმი და გამომძიებელი, რომლებსაც თან მოყვებოდა ცოლის ძმა ბრალდებულისა, რომელიც სამი დღით ადრე იყო წასული ზუგდიდში. მაზრიდან ჩამოსულებს, სანამ ცხედარს გასინჯავდენ, ეტყობოდათ ცალმხრივობა. ერთ გლეხთან საუბრის დროს გამომძიებელმა ცხედრის ნახვამდი სთქვა: „ცოდვა ის არის, ვინც ციხეშია ასეთ სიცხეშიო, თორემ გარდაცვალებულს აწი ვერ უშველითო" (ეს პირდაპირ მისი სიტყვებია). სასაფლაოზე 50-მდე შეგროვილ გლეხობამ მიცვალებულის გასინჯვის შემდეგ სთხოვა გამომძიებელს საქმის სრული ჭეშმარიტების გამორკვევა, ვინაიდან მათ ეგონათ ამ საქმის გამო მოუხდებოდათ წასვლა მაზრაში.

გლეხების თხოვნას მან არავითარი ყურადღება არ მიაქცია და უთხრა: „ეს თქვენი საქმე არ არის, ჩვენ ყველაფერი ვიცითო".

საზოგადოება მოითხოვს იქნას ეს საქმე ხელმეორედ გამოძიებული და დაკითხულნი იმ კუთხის მცხოვრებნი, სადაც ადგილი ჰქონდა ასეთს. როგორც შემდეგ გამოირკვა, მკვლელობაში აქტიური მონაწილეობის მიმღები არის ცოლი მეუნარგიასი, რომელიც თვითვე არის გამომტყდარი და დღის-დღეობით იმყოფება სახლში. საჭიროა მისი პასუხისგებაში მიცემაც. იმედი აქვს გლეხობას, სათანადო ყურადღებას მიაქცევს დასავლეთ საქართველოს პროკურორი ამხ. ურუშაძე, რომ შემდეგში ასეთ საქციელს როგორც შვილისა დედისადმი, ისე მოქალაქეთა შორის მოეღოს ბოლო*).

დამსწრე.

---

*) ამ კორესპონდენციაზე ვაქცევთ რესპუბლიკის პროკურორის ყურადღებას.

რედ.

მენშევიკის განცხადება

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენ გაზეთში შემდეგი:

მე, ყოფილი მენშევიკი 1908 წ ლიდან, დღეიდან ვგმობ მოღალატე და ყაჩაღების მოკავშირე სოციალ-დემოკრატიას და გამოვდივარ ამ პარტიიდან.

მსურს ამოუდგე მხარში იმ მშრომელთ, რომლებიც შედიან კომინტერნში.

ზიზღი ბანდიტების მოკავშირეებს.

ანდრო პავლეს ძე მიქელაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ივნისის 6.

ზაფხულის პერიოდში ყოველი შაბათის 12 საათიდან ორშაბათის 11 საათამდე სხდომების აკრძალვის შესახებ ამა 1924 წლის მაისის 21-ს თარიღით გამოცემული („ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. მაისის 23 თარიღის 583 №-რი) დადგენილების დასამატებლად **ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:**

ზემოაღნიშნულ დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის **შენიშვნა:**

„ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც ყოველკვირეული დასვენების დღედ პარასკევი ითვლება, აეკრძალოს ყველა სახელმწიფო ორგანოს ამა თუ იმ სხდომის გამართვა აღნიშნული საზაფხულო პერიოდის განმავლობაში ყოველი ხუთშაბათის 12 საათიდან შაბათს დილის 11 საათამდე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდ. მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ ა. შავერდოვი.

საქ. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარის განკარგულება უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტების სოციალურ-აკადემიურ წმენდის გადადების შესახებ.

სახალხო განათლების კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში პროლეტარულ სტუდენტობის თბილისის ბიუროს და უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტების კომუჯრედების სურვილი და სტუდენტობის აკადემიურ გამოცდებისათვის მოსამზადებელი და გამოცდების ჩასაბარებელი დრო—დაადგინა, რომ სოციალურ-აკადემიური წმენდა გადაიდვას მიმდინარე წლის აგვისტოს დამლევისათვის. სოციალურ-აკადემიურ წმენდის წესი და დრო იქნება გამოცხადებული ცალკე.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

თბილისი, 18 ივნისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** იტყობინება, რომ პარასკევს, 20 ივნისს, საღამოს 6 საათზე პარტიული დღის მაგიერ მოწვეულია

საერთო—რაიონული კრება

პროფკავშირთა კლუბში, (ბაღი „სტელლა", სოლოლაკის ქუჩა)

— ამხ. **მიასნიკოვის** მოხსენება: „მეცამეტე ყრილობის შედეგები".

სავალდებულოა ქალაქის რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება.

მდივნის მაგიერ: აკოპოვი.

— ლენინის სახელობის სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მუშფაკის **№ 20 კომუჯრედების ბიურო** იტყობინება, რომ შაბათს, 21 ივნისს, საღამოს 5 საათზე მუშფაკის დარბაზში დანიშნულია **კომუჯრედის და ახალგაზრდობის კომკავშირის უჯრედის კრება.**

სავალდებულოა ყველას გამოცხადება დაუგვიანებლად.

ბიურო.

— ხუთშაბათს, 19 ივნისს დღის 1 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში დანიშნულია თბილისის კომიტეტთან არსებული **საბინაო კომისიის სხდომა.**

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების გამოცხადება:

აზრუმელაშვილი, ა. რუხაძე, ჯულელი, კიკნაძე ანტონი, უნგიაძე, ფირალოვი, სუხიშვილი, ასრიევი, ვარძიელი, ლომინაძე; უნდა გამოცხადდენ აგრეთვე არმიის ცენტრალურ საალმშენებლო სამმართველოს წარმომადგენლები და მუშათა საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის წარმომადგენელი—ლეინი.

კომისიის თავმჯდომარე: ივაძოვი.

— პარასკევს, 20 ივნისს, დილის 9 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის შენობაში მოწვეულია თბილისის კომიტეტთან არსებული **კოოპერატიული კომისიის სხდომა.** სავალდებულოა ამხ. ერისთავის, ერქომაიშვილის, აკიმოვის ვარლამოვის, კერკალიძის, მაერის, მღებრიშვილის, ელბაქიანის, საარმიო კოოპერაციის და ცენტროსოიუზის წარმომადგენელთა გამოცხადება.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი** წინადადებას იძლევა, რომ **ერთიან პარტიულ დღეს** დასმულ იქნეს უჯრედებში შემდეგი საკითხი:

რ. კ. პ. ცეკას პოლიტიკური ანგარიშის და ახალგაზრდებს შორის მუშაობის შესახებ ამხ. ბუხარინის მიერ გაკეთებულ მოხსენების გამო მიღებული რეზოლიუციები მასალებად გამოყენებული იქნეს.

„პრავდის" ნომრები—27, 28 მაისის და 4 ივნისის
„კომუნისტი"-ს 119 და 121 ნომერი.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

— **ს. კ. პ. ც. კ-ტის საღრიცხვო-განმანაწ. განყ.** წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა გამოცხადდენ სამი დღის ვადაში საღრიცხვო-განყოფილებაში:

1) ბიჩავა პავლე სტეფანეს-ძე. 2) ქუმსიაშვილი ალექსანდრე მიხეილის-ძე, 3) მონოგაძე ფილიპე ბართლომეს-ძე, 4) ნადარეიშვილი სერგეი უშნის-ძე, 5) ჩაკვეტაია გრიგოლი ანდრიას-ძე. 6) ხუციშვილი სერგო დიმიტრის-ძე, 7) ხუბულავა აკაკი ფილიპეს-ძე. 8) ხუციევი გაბრიელი გიორგის-ძე. 9) ხუბუა პიმენი. 10) ხუციევი მარტინ, 11) ცინცაძე მოსე, 12) ხუნდაძე გრიგოლი, 13) ცინცაძე ნიკოლოზი.

ცეკას საღრიცხვო-განმანაწ. განყ. გამგის მაგ. მ. ჯაფარიძე.

განცხადებები

16 ივნისს გარდაიცვალა

სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მახლობელნი მისი. დაკრძალვა 19 ა | თ. საღამოს 6 საათზე ნიკოლოზის (ვერის) სასაფლაოზე.

1253 2—2

მუშათა მთლიანი კოოპერატივის სავაჭრო განყოფილება,

1924 წ. 22 ივნისს, დილის 9 საათზე, მთავარ საწყობში,—კირკის და კამოს ქუჩების კუთხე—(შესავალი კამოს ქუჩიდან, ყოფილი [illegible] მთავრის ქ.)

ნიშნავს საჯარო ვაჭრობას,

რომელზეც გაიყიდება ხელახალი საჯარო ვაჭრობის გარეშე: სხვადასხვა გვარი ავეჯეულობა, სასოფ. სამ. იარაღების ნაწილები.
რკინეულობა.
სხვადასხვა გვარი ტყავეული, ჭურჭლები შუშის და ემალის.
ტომრები.
ყუთები და ცარიელი ბოჭკები.
საკერავი მანქანები.
პოტაში.
ლილა.
სპილენძი.
თოკები.
ცულები.
ხერხები „ბირ და ბირ"-ი.
ჯაგარი.
გუთნები.
ნამგლები.
ფეხსაცმელების ფოლაქები.
კონსერვების ბანკები.
მოკალული ვედრები და სხვადასხვა საქონელი 200 სახელწოდებით.

მთლიანი მუშათა კოოპერატივის სავაჭრო განყოფილება.

ნ. 1239 2—1

მუშათა მთლიანი კოოპერატივი

აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ შაქრის ტრესტთან დადებულ გენერალურ ხელშეკრულების თანახმად

წვრილი ვაჭრებისათვის შაქრის მიწოდება

ქ. თბილისის ფარგლებში სწარმოებს მხოლოდ მუშათა მთლიანი კოოპერატივის დუქნებიდან.

დუქნების მისამართი:

1. **ბამბის რიგი**, მანთაშევის ყოფ. ქარვასლა.
2. **ლენინის ქუჩა № 27.**
3. **პუშკინის ქუჩა № 29.**

დუქნები ღიაა 8-დან დღის 3 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა.

ნ. 1240 1—1

გამგეობა.

საჭიროა

წყალის სიფონები და სხვა მოწყობილობა

მისამართი: სამხედრო კოოპერატივი ვერის დაღმართი № 12 ანანოვის სახლი.

1264 2—1

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულითა და ჭლექით დაავადმყოფებული. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 915 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

895—13—10

ექიმი დ. ნ. მატვეევი-მგალობლიშვილი

ყელის, ყურის, ცხვირის და თვალის ავადმყოფობანი.
ოპერატიული მკურნალობა, პლასტიური აპერაციები.
ავადმყოფთა მიღება საღამოს 5-დან 7 ნახ.-მდე კვირადღის გარდა.
ვერა, მლეთის შესახვევი, № 20.

1164—25—8

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდების ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

126—25—10

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს შრომის სახალხო სასამართლოსთან სასამართლოს აღმასრულებელი არგუტინსკი-დოლგორუკოვი

ამით აცხადებს რომ ა. წ. 21 ივნისს მის მიერ იქნება საჯარო ვაჭრობით გაყიდული გენრიხ მოსევიჩის ქონება დილის ცხრა საათზე 1490 ფ. ფქვილი მეორე ხარისხის, რომელიც იმყოფება აქციონერ. საზოგადოების ტრანსპორტის საწყობში მალაკნის ქუჩა № 48 და იმავე დღეს დილის 12 საათზე იმავე მოსევიჩის სახლის ავეჯი, რომელიც იმყოფება საქართველოს სასოფლო სამეურნეო საწყობში ბებელის მოედანი (ყოფილი არქიელის) № 4 და შესდგება ქვემოთ აღნიშნული ნივთებისაგან: პიანინო „შრედერი", საწერი მანქანა რემინგტონი, ათწილადი სასწორი, რკინის კასა და სხვა ბევრი, საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა 11 ივნისის 1924 წ. № 1491. აღნიშნული ქონება გაიყიდება ზემონაჩვენებ მისამართებზე, სადაც შეიძლება გაისინჯოს გაყიდვის დღეს.

შრომის სახალხო სასამართლოს სასამართლო აღმასრულებელი

1257 1—1

არგუტინსკი დოლგორუკოვი.

დაიკარგა „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქციის ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3399 გაცემული მე-2 უბნის დამცველი რაზმის უფროსისაგან, აღრიცხვის ბარათის ქვითარი (отрезок „В") № 13025. კავშირის წიგნაკი № 296 გაცემული თბილისის რკინის გზის უბნის კომიტეტისგან და პარტიული წიგნაკი № 491672, გაცემული 1-ლი რაიკომიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. მე-2 უბნის რკ. გზ. დამც. რაზმის უმცროსი რაზმელი: **ივანე თომაძე.**

1255 1—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 424106 | 17606. პავლე პატას ძე ცხოვრებაძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1259 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1 (1916 წლ.) ანაიდა მანდელოვას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1256 1—1

დაიკარგა პროფკავშირის წევრობის წიგნაკი № 89—89-რი გ. ს. მენაბდე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1263 1—1

დაიკარგა შრომის ბირჟიდან მოცემული უმუშევრობის მოწმობა № 5160, პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 2950, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან მოცემული შემცირების მოწმობა № 2936 და ზინოვიევის საბუღალტერო ინსტიტუტის მატრიკული. ზემოჩამოთვლილი მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს. ბარბალე თომას ასული ფირცხალაიშვილი.

1258 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი, გაცემული ქალ. თბილისის მე-12 უბნის სამხედრო მაგიდის მიერ ა. წ. 1 თებერვალი № 1006. გიორგი სტეფანეს ძე ალიბეგაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1260 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკის", საშა წულუკიძის ქუჩა № 4.